№ 2942
შაბათი,
5 ნოემბერი

ცნობის ფურცელი

№ 2942
შაბათი,
5 ნოემბერი

გაზეთის ღირს: წელიწადში—6 მ. თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით, პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და ა. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეკერილ ტანისამოსის
ახლად გახსნილ მაღაზიაში
„ექსელანს“ გოლოვინის პროს., ტფილისის საკრებულოს ქვეშ, სახლი მანთაშევისა.
არის
დიდ-პატარა კაცის, ქალის და ბავშვის ტანისამოსი, ფორმის ტანისამოსი ყველა სასწავლებლის და სამოქალაქო დაწესებულებისა. შეიძლება შეკვეთა კაცისა და ქალის ტანისამოსისა. განუწყვეტლივ მოგვდის ყველაფერი, რაც ახალია ბერლინისა, პარიზისა და მოსკოვის სავაჭრო სახლიდან.

მ. და ი. მანდლ

იწერს ყოველ გვარი საქონელი საზღვარ-გარეთის და რუსის ქარხნებისა. მთელი მასალა, დამზადებული საკუთარ ქარხანაზე ადესაში, შეძლებას აძლევს „ექსელანს“-ის მაღაზიას მეტად იაფი ფასები დანიშნოს.

საქონლის ყიდვა შეუვაჭრებლად

„ექსელანსის“ მაღაზიას სრული იმედი აქვს, რომ ტფილისის პატივცემული საზოგადოება პირადად მობრძანდება და გაიცნობს ყველაფერს.
(50—6.—20)

სასიკვდილოთ გულ ჩათუთქულნი მშობლები **სვიმონ ანდრიას ძე ფანიაშვილი და მისი მეუღლე ოლა შვილებითურთ და მართა ზურაბის ასული ხატელიშვილისა** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთ და მეგობართ უდროვოდ დაკარგვას საყვარელის და დაუვიწყარის შვილისას და ძმისას, რომელიც უდანაშაულოთ მოკლულ იქმნა ქ. ფეოდოსიაში უკანასკ. არეულობის დროს

დავით სვიმონის ძე ფანიაშვილისას

და სთხოვენ მობრძანდნენ კვირას, 6 ნოემბერს დილის 10 საათზე ჩუღურეთის ნიკოლოზის ეკლესიაში, სადაც გარდახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად.
(2—1)

ექიმი კონსტანტინე ლაზარეს ძე ტურიაშვილი აუწყებს ნათესავთა მეგობართა და ნაცნობთ გარდაცვალებას საყვარელის ძმისა თვისისა სტუდენტის

ალექსანდრესას

და სთხოვს მობძანდნენ მის გვამის გასვენებაზე დასასწრებლად, კვირას, 6 ნოემბერს, დეკანოზის ტურიაშვილის ბინაზე. (წმ. მარინეს ეკკლესიის გალავანში) მიცვალებული დაკრძალულ იქმნება კუკიის სასაფლაოზე. პანაშვიდები ყოველ დღე დილით 11 და საღამოთი 6 საათზე.
(1—427—1)

მიხეილ იოსების ძე და ნატალია იოსების ასული ბიბილაურები რძლებით სიდონია და ოლგა დიდის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროვოდ დაკარგვას ძვირფას და საყვარელ ძმისას და მაზლისას იურევის უნივერსიტეტის სტუდენტის

ალექსანდრე იოსების ძის ბიბილაურისას,

რომელიც ტრაგიკულად მოკლულ იქმნა პეტერბურგში 18 ოქტომბერს, და სთხოვენ მობრძანდნენ კვირას, 6 ნოემბერს, $9^1/_2$ საათზე, ანჩისხატის საკრებულო ტაძარში, სადაც გადახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად.
(2-426 1)

სამშაბათს, 8 ნოემბერს, ნაძალადევში დანიშნულია კრება.

შინა მოსამსახურეებისა,

როგორც მზარეულებისა, აგრეთვე ხელზე მოსამსახურეებისა. კრება იქმნება ნაშუადღევის სამ საათიდან.
(3—1)

სამკურნალო
ექიმთა საზოგადოებისა
ტფილისში
მუდმივის საწოლებით, ელისავეტინსკის ქუჩა, 101, ტელ. 1026.
მიიღებიან გარედან მოსიარულე ავადმყოფნი
მ. გ. ალაჯანოვი. 11—12 ს. შარდისა, ვენერიულ, სიფილისის და ნაწლევების ავადმყოფობანი.
ი. ნ. ეგიაზაროვი. 11—12 ს. ნერვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი; ელექტრონით წამლობა.
პ. ნ. დემიდოვი. 11—12 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.
გ. ა. ტატევოსოვი. 12—1 ს. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობანი.
ი. ე. ავეტისოვი. 12—1 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.
მ. პ. კიმონტი. 1—2 ს. სადოსტაქრო ავადმყოფობანი.
მ. რ. ელჩიევი. 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურის ავადმყოფობანი.
პ. ა. ბეიერი. 1—2 ს. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.
სამკურნალოსთან შეიძლება ჰიპნოტიზმით მკურნალობა, მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები მორიგებით. სასტაციონერო განყოფილება შეიცავს საზოგადო პალატას და ცალკე ოთახებს.
(150—21)

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილ. 12—2 ს. საღამოთი 6—7 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბათისა. კუთხე კირკის და დიდი მთავრის ქუჩებისა, სახლი სვანიშვილისა № 15

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, კანის და ვენერიულის ყოველ დღე დილის 8—11-მდე და საღამოს 6—8-მდე, გარდა კვირა საღამოსა. ლორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩების კუთხე, მესხიშვილის სახლი, ფოსტის პირდაპირ № 18.
(წლ.)

კბილის ექიმი
ი. ზ. კანდელაკი
გადავიდა ახალ ბინაზედ მიხეილის პროსპექტი, № 44, სახლი აბულაძისა.
იღებს კბილის სნეულებით ავადმყოფებს, უკეთეს პლომბებს, სხამს ახალ ხელოვნურ კბილებს ყოველ გვარ მეთოდზე, დილის 9—2 და საღამოს 4—6 საათამდე.
(თვ.—80—27)

მედიცინის დოქტორმა
გ. ი. გურგენოვმა,
შტატის ორდინატორად ნამყოფმა ხარკოვის საბებიო და საგინეკოლოგო კლინიკაში, განაახლა საბებიო და ქალის სნეულობით ავადმყოფთა მიღება. დილით 10—12 საათზე, საღამოთი 5—6 საათზე. გოლოვინის პროსპ., სახ. მდივნისა, № 12, საარტისტო საზოგადოების შენობის პირდაპირ.
(თვ.—406—11)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
მიხეილ გედევანიშვილისა
იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთ 6—7 ს.-მდე ყორღანოვის ქუჩაზე (ვერაზე) საკუთარი სახლი № 20. ტელეფონი 79'.
ავადმყოფთათვის არის ერთი კრაოტი.

მედიცინის დოქტორი
მ. ი. მურადოვი
ყოფილი ორდინატორი მოსკოვის უნივერსიტეტისა, იღებს სპეციალურად საშარდეს, სიფილისის და კანის სნეულებიან ავადმყოფებს, ყოველ დღე 10 დან-11-მდე და 5-დან 7 საათამდე, რტიშჩევსკის ქ., ს. № 1. ცეცხლის საქრობ რაზმის პირდაპირ. ტელეფონი 711.
(50—368—20)

ექიმი
გ. ი. ტერ-გრიგორიანცი
იღებს შინაგან (სპეციალურად ფილტვის) ავადმყოფებს და ბავშვებს. გასინჯვა და მკურნალობა რენტგენის სხივებით. ავადმყოფები მიიღებიან დილით 10—12 ს. საღამოთი 5—7 ს.-მდე. მიხეილის პროსპ. № 154.
(თვ.—371—21)

ტფილისი, 5 ნოემბერი.

ხალხს ვერ მოატყუებენ. თვითმპყრობელმა მთავრობამ ვერ გაუძლო სიმართლის ხმას და თითქოს სირცხვილეულმა, პირი განზე მიიღო და ისე დაუთმო ხალხს ორიოდე მისვე ხელიდან გამოგლეჯილი ლუკმა. გავიდა ორი-სამი კვირა და თვითმპყრობელობამ დაივიწყა, რომ თვითონვე გამოუტყდა ხალხს თავის ცოდვებში. ეხლა ის ლუკმაც უკან მიაქვს, რომელიც მან ხალხის საკუთრებად აღიარა.

ეხლა, როდესაც გავიგეთ, რომ პოლონეთს წაერთვა 17 ოქტომბრის მანიფესტის ძალით მინიჭებული უფლებები, როდესაც რუსეთის სამ გუბერნიაში გენერალ-ადიუტანტები გაგზავნეს საომარ დროის წესების შემოსაღებად, გადაჭრით შეგვიძლიან ვთქვათ, რომ მთავრობა არა ჰფიქრობს 17 ოქტომბრის მანიფესტის სისრულეში მოყვანას. მართალია, პობედონოსცევი და ტრეპოვი აღარ არიან, მაგრამ დარჩნენ სხვა, უფრო წვრილი, ტრეპოვები და პობედონოსცევები, ამათ ბუდიდან გადმოფრენილები. ესენი, ალბად, ჯერ იმედს არა ჰკარგავენ, რომ საქმე უკან მობრუნდება და რუსეთის ცხოვრება ისევ ძველ კალაპოტში მოექცევა.

მაგრამ განა შესაძლებელია ესა? შესაძლებელია განა ხალხმა დასთმოს ის, რასაც ამდენი სისხლი დაანთხია, რასაც ამდენი საუკეთესო შვილნი შესწირა? თუ ხალხი მონობის უღელს სამუდამოდ არ შესჩვევია, თუ სამუდამოდ არ დაუკარგავს თავისი პიროვნება, ასეთი ცვლილება შეუძლებელი უნდა იყოს. ჩვენს დიქტატორებს კი მაინც იმედი აქვთ. იმედი აქვთ, რომ ხულიგანების სცენაზე გამოსვლით, თუნდ მათ'ში ტანისამოს-გადაცმული პოლიციელნიც იყვნენ, რუსეთის ხალხს მოატყუებენ: აჩვენებენ, რომ თავისუფლება მავნებელია, დაარწმუნებენ, რომ ამგვარი სისხლის ღვრა აუცილებელი შედეგია „თავისუფლებისა“, და ბოლოს იმ ზომამდე მიიყვანენ, რომ ათქმევინებენ რაკი მაგრეა, თავისუფლება არ გვინდაო.

აი, რის იმედი აქვს ბიუროკრატიას. მაგრამ ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხალხი საკმაოდ გათვითცნობიერებული არ არის, თუ გამორკვევა და ახსნა სჭირიან იმისი, თუ რა არის თავისუფლება. თვითმპყრობელობას გულუბრყვილოდ ჰგონია, რომ ის ანბანი, რომლის შესწავლასაც იმან მხოლოდ ეხლა მიჰყო ხელი, ხალხმა ჯერ არ იცის. არა, ხალხმა კარგად იცის, რომ წეს-რიგი და თავისუფლება ერთმანეთს ხელს არ შეუშლიან, იცის, რომ წეს-რიგი და ბიუროკრატიის ოპეკა და ძალმომრეობა ერთი და იგივე არ არის. ვინ უნდა დაარწმუნონ დავთრებ-დაკარგულმა პამპადურებმა, რომ თავისუფლება და ანარქია, განუყრელია ურთ-ერთისაგან, რომ პირველს თან ახლავს ყოველთვის მეორე. არ არის ძნელი მისახვედრი, რომ ის ანარქია, რომელიც რუსეთში მეფობს, ბიუროკრატიულ ანარქიის გაგრძელებაა და, თუ ჯერ არ მოსპობილა, მხოლოდ იმიტომ, რომ ბიუროკრატიული რეჟიმიც ჯერ არ მოსპობილა.

ესეც არ იყოს, თვით ბიუროკრატიისთვის უფრო საშიშია ასეთი უკუჯექობა. სხვა და სხვა თავისუფლების მიცემა და მერე წართმევა ხალხს იქამდის გააბრაზებს, რომ, შურის ძიების გარდა, დაივიწყებს ყოველსავე სხვას. ნურავინ მიიყვანს ხალხს იქამდის, რომ მან თავი დაივიწყოს და სიცოცხლე არარად ჩააგდოს, თორემ...

რომ ეს ხრიკი არ გაუვა ბიუროკრატიას, რომ ხალხის მოტყუება ძნელია, ამას გაზეთთა ცნობებიც ამტკიცებს. რაც უფრო დრო გადის და ხალხი ცნობილობს განმათავისუფლებელ მოძრაობის ნამდვილ ხასიათს, მით უფრო ნდობით ეპყრობა მას. სჯობს შეურიგდეს ბიუროკრატია ახალ წესებს და დასცხრეს. თუ ამას არ იზამს, მაშინ ახალი განსაცდელი მოელის რუსეთს. განა ბიუროკრატია დაიჭერს მოძრაობის არიერგარდს, გლეხობას? აქამდის მთავრობას მხოლოდ ავანგარდთან ჰქონდა საქმე და, თუ თავის ჯიუტობით არიერგარდსაც შეეტაკა, მაშინ ვაი მათ და ვაი მთელ რუსეთს! აი მაშინ გაჩნდება ის, რის წინაშეც ძრწის ყველა. ნუ დაივიწყებთ, რომ გლეხთა უმრავლესობას არავითარი ორგანიზაცია არა აქვს და იმას მხოლოდ შიმშილი ამოძრავებს, შიმშილი, რომელშიც იმავ ბიუროკრატიამ ჩააგდო. სჯობს დროზე გაასწოროს ბიუროკრატიამ თავისი ძველად ძველი შეცდომა, ნუ მიიყვანს საქმეს სტიქიურად აჯანყებამდის, თორემ იგი კიდევ უფრო დიდი პასუხის მგებელი გახდება ისტორიის წინაშე. ამისათვის საჭიროა მთავრობა მიეგებოს ავანგარდის მოთხოვნილებას. საჭიროა მოიწვიოს დამფუძნებელი კრებები საყოველთაო, ფარულ, პირდაპირ და თანასწორ კენჭის ყრით. მხოლოდ ამგვარ დამფუძნებელ კრებებს შეუძლიან დაამშვიდონ ყველა წრის ხალხი და კერძოდ გლეხობა, რომლის ნივთიერი მდგომარეობაც უკიდურესობამდის არის მისული.

სამოსწავლო ოლქის მზრუნველის უზრუნველობა. მწუხარებით გული გიკვნესის, სული მწარედ ყელში გეგუბება და მთელის შენის არსებით სასოწარკვეთილებას ეძლევი, როცა ითვალისწინებ იმ საზარელს უბედურებას, რომელიც სრულიად მოულოდნელად და დაუმსახურებლად თავს დაატყდა ტფილისის სასწავლებლების მოწაფეთ ოცდაორ წარსულ ოქტომბერს.

ჯალათურმა მთავრობამ, რომელმაც ასე ძლევამოსილი გამარჯვება იგემა იალუსა, ვაფანგოუსა, დაშიჩაოსა, ლიაოიანსა და მუკდენის მიდამოებში, ნამდვილი იერიში მიიტანა ქუჩაში მოსეირნე მოწაფეებზე და სამკვდრო-სასიცოცხლოდ გაილაშქრა მათ წინააღმდეგ.

გამხეცებულმა „ხულიგანების“ ბრბომ, რომელსაც ასე გულმტკივნეულად მფარველობდა ეს სახელოვანი ჯარი, არ დაინდო პირველ გიმნაზიის ეზოში კოჭით მოთამაშე რვა-ცხრა წლის მოწაფენიც კი, ის მოწაფენი, რომელთაც სრულიად არავითარი წარმოდგენა არა ჰქონდათ არც შინაურსა და არც გარეშე მტრების შესახებ.

შეუბრალებლად დაიღვარა უმანკო სისხლი. სისხლით მოირწყო გიმნაზიის ეზო და საკლასო ოთახები და კარიდორები, საცა თავს აფარებდნენ ტყვიის ზუზუნით შეშინებული პაწაწა ბავშვები. ნაკადულებრ მოსჩქეფავდა გოლოვინის პროსპექტზე მოციქულებრივ წამებულ მოწაფეთა უმანკო სისხლი.

გამხეცებულმა ბრბომ და ჯარმა მრავალ მოწაფეს გულში უხმოდ ჩაუკლა ჯერ კიდევ მკრთალად მოშუქებულ „თავისუფლების“ სხივი, რომელიც შავსა და ბნელს საფლავში სამარადისოდ ჩაჰქრება.

ვინ იცის, რამდენი მწუხარებით გულჩათუთქული დედა და მამა უნუგეშოდ დაქვითინებს უდანაშაულო მსხვერპლთა საფლავს და მდუღარე ცრემლებს ნაკადულებრ აფრქვევს.

უსირცხვილო ბიუროკრატიამ ასეთის მსხვერპლის შეწირვაც არ იკმარა. მოწაფეებზე სახელოვან გამარჯვების შემდეგ პირველ და სათავად-აზნაურო გიმნაზიის სადგომები მყისვე უბრალო კაზარმებად გადააქცია და შიგ ჯარი ჩააყენა.

ყველა სასწავლებლის მოწაფენი, რომელთაც დიდის გაჭირებით დააღწიეს სიკვდილს თავი, სახლებში იკეტებოდნენ და შიშით ქუჩაში ვერ გამოდიოდნენ, კვლავ კიდევ რაიმე უბედურებას არ წავაწყდეთო. შიშით ზარ დაცემული მოწაფენი უგერბოდ და სამოქალაქო ტანთ-საცმელით თუ გამოდიოდნენ ქუჩაში, თორემ ფორმით გარედ გამოსვლას ვერა ჰბედავდნენ.

დიახ, სამწუხარო იყო ტფილისის სასწავლებლებისა და მოწაფეების მდგომარეობა განსაკუთრებით „ღირს შესანიშნავ“ ოცდაორს ოქტომბრიდან.

ვინ იყო შემბრალე, გამკითხავი ან ხმის ამომღებელი, რომ მოწაფენი დაეფარა ბიუროკრატიის ძალმომრეობისაგან შემდეგისათვის მაინც? ყველანი, თუ გნებავთ, მხოლოდ ის-კი არა, ვინც იურიდიულად და ზნეობრივად უფრო მოვალე იყო ხმა მედგრად აღემაღლებინა და დაეცვა მოწაფენი და ბარბაროსულად დარბეულ-დაწიოკებული სასწავლებლები აკლებისა და განადგურებისაგან.

ადგილობრივმა პრესამ და საზოგადოების ყოველ თითოეულმა შეგნებულმა წევრმა ერთხმად დაჰგმეს ბიუროკრატიის მფარველობით გამოწვეული უდანაშაულო მოწაფეთა სისხლის ღვრა და სასწავლებელთა დარბევა და ერთხმათვე მოთხოვეს უმაღლეს მთავრობას საომარ წესების, ეგზეკუციის და გაძლიერებულ დაცვის გაუქმება. ამ საერთო პროტესტში არ ისმოდა ხმა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ბ-ნ ზავადსკისა, რომლის პირდაპირი სამღვთო მოვალეობა იყო აღემაღლებინა ხმა კავკასიის უმაღლეს მთავრობის წინაშე, გამოეცხადებინა ზიზღი და გულის წყრომა განზრახ მოხდენილ უბედურების გამო და ამასთან მიეღო საჭირო ზომები, რომ მოწაფენი და სასწავლებლები შემდეგისათვის მაინც გადაერჩინა მოსალოდნელ განსაცდელისაგან. ბ-ნმა ზავადსკიმ ასეთს კრიტიკულს დროს კრინტიც კი არ დასძრა მისდა რწმუნებულ მოწაფეთა და სასწავლებელთა სასარგებლოდ.

პირიქით, ბ-ნი მზრუნველი, წარბშეუხრელად „ვოზროჟდენიეს“ მე-13 ნომერში საჯაროდ აცხადებს, რომ მე უმაღლეს მთავრობის წინაშე „არ აღმიძრავს არც წერილობითი და არც სიტყვიერი შუამდგომლობა“ საომარ წესების და გაძლიერებულ დაცვის გაუქმების შესახებაო. ვისაც კავკასიის მკვიდრთა შვილების სწავლა-აღზრდისათვის გული შესტკივა, ვისაც ჯერ კიდევ სიმართლის ლამპარი გულში არ ჩაჰქრობია, იგი უთუოდ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს ულრმეს გულისწყრომას და პროტესტს გამოუცხადებს იმ უზრუნველობისათვის, რომელიც ბ-ნმა ზავადსკიმ გამოიჩინა მოწაფეთა ასეთ განსაცდელ დროს.

მაგრამ პროტესტი და გულისწყრომა კიდევ საკმაო არ არის, საქმე ამით მომავალში არ გასწორდება. დაუყოვნებლივ საჭიროა, რომ ბ-ნმა ზავადსკიმ საზოგადოებას ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით განუმარტოს ყველა ის მიზეზი, რომლებმაც იგი აიძულეს ასე გულგრილად მოჰქცეოდა მისდამი რწმუნებულ სასწავლებლების მოწაფეთა უნუგეშო მდგომარეობას, წინააღმდეგ შემთხვევაში თვითოეულ მოწაფის შეგნებული მშობელი, თვითოეული შეგნებული ადამიანი, რომელსაც მოსწავლე ახალგაზდობის ბრწყინვალე მომავლის იმედი აქვს, თავის სამღვთო მოვალეობად ჩასთვლის უფრო სასტიკი მსჯავრი დასდოს მზრუნველის ასეთს უზრუნველობას და გზა „მშვიდობისა“ დაულოცოს.

ახალი წყალობა

სინოდს ჩვენზე, ქართველებზე, ახალი წყალობა მოუღია.

პეტერბურგიდან საკუთარმა კორესპონდენტმა „ცნობის ფურცლისამ“ ტელეგრამით აუწყა ამ დღეებში ქართველს საზოგადოებას, სინოდმა გადასწყვიტა რეფორმა ქართულის ეკლესიის მართვა-გამგეობისა.

რაში მდგომარეობს ეს რეფორმა?

არქიეპისკოპოზის სახელის მაგივრად მმართველს ქართულის ეკლესიისას ერქმევა უფრო დიდი სახელი—მიტროპოლიტისა.

ამ მიტროპოლიტს ეყოლება ერთი ოთხად უფრო დიდი სამწყსო, რადგანაც მის მფლობელობაში იქნება მთელი ჩრდილო კავკასიაცა.

გაუქმდება პატარა ტიტული საქართველოს ეგზარხოსისა და დაკანონდება უფრო დიდი სახელწოდება – კავკასიის მიტროპოლიტისა.

ამ მიტროპოლიტს ექმნება ავტონომიური უფლება, ესე იგი, შინაურს მართვაში იგი დამოუკიდებელი იქმნება სინოდისაგან, რის გამოც მიტროპოლიტზე საჩივარიც-კი არ შეიძლება, თუ იგი უფრო უარესი მდევნელი იქმნება ქართველობისა, ვიდრე იყვნენ ეგზარხოსნი.

ერთი სიტყვით, სავსებით უქმდება სა-

ქართველთ ექსარხოსობა და სამაგიეროდ არსდება მიტროპოლია კავკასიისა. რეფორმაც სწორედ ასეთი უნდა!

მკითხველი არ უნდა მოსტყუვდეს სიტყვით: ავტონომია.

ავტონომია ორ-გვარია: ბიუროკრატიული, როდესაც ავტონომიური მეთაური რომელიმე ოლქისა ინიშნება თავისს თანამდებობაზე უმაღლესის მთავრობის მიერ, და დემოკრატიული, როცა მას ირჩევს საზოგადოება, ხალხი, სამწყსო.

პირველი ავტონომია არსებობდა ძველს დესპოტიურს სპარსეთში და ავტონომიურს მმართველებს სხვა და სხვა კუთხეებისას ერქვათ სატრაპები, რომელნიც უფრო უარესნი დესპოტნი იყვნენ, ვიდრე მათნი დამნიშვნელნი — სპარსეთის მეფეები. ახლაც არსებობს ოსმალეთში ამ გვარი ავტონომია: ყოველი ფაშა ავტონომიური გამგე არის ფაშალიკისა და უარესი მტარვალი, ვიდრე მისი დამნიშვნელი.

ეს ასეც უნდა იყოს და სხვაფრივ ვერ იქმნება. ბიუროკრატი, დიდი ბობოლაა იგი, თუ პატარა, ყოველთვის ირჩევს თავისსზე უარესსა, რომ ქვეყნის თვალში არამც თუ არ დაიჩრდილოს, არამედ უკეთესს საუნჯედ გამოჩნდეს....

ასეთია პსიხოლოგია ბიუროკრატიისა, რის გამოც ყოველი დაბალი საფეხური უარესია მაღალზე და კიბე თავდება აუცილებლივ ხულიგანებით, როგორც ბიუროკრატის სამირკვლით.

სრულიად სხვაა დემოკრატიული ავტონომია. ერის, საზოგადოების, სამწყსოს სიკეთე მოითხოვს, რომ გამგედ, მმართველად იყვნენ საუკეთესო მამულიშვილნი და ამისთვის-კი არჩევანია საჭირო.

რამდენადაც ბიუროკრატიულს წეს-წყობილებაში უარესების დანიშვნა აუცილებელია, იმდენად დემოკრატიულს რეჟიმში საუკეთესოების არჩევა უზრუნველყოფილია.

მაგრამ მკითხველმა შეიძლება იფიქროს: იქნება კავკასიის მიტროპოლიტის არჩევის უფლება მიენიჭოს სამწყსოსაო. ეს ძლიერ ძნელი მოსალოდნელია, რადგანაც სინოდი ახლაც მტკიცედ ადგია ბიუროკრატიულს გზასა. მაგრამ ვთქვათ, რომ ეს უფლება მართლა განხორციელდეს, დაკანონდეს. რას მოიგებს ქართველთა ეკკლესია? ვერაფერსა, რადგან ნამდვილად მიტროპოლიტის არჩევა ჩრდილო კავკასიას ერგება: იქ ორჯელ მეტი მცხოვრებია, ვიდრე საქართველოში. ამ ნაირად კავკასიის მიტროპოლია ნიშნავს ქართული ეკკლესიის გაუქმებას, ამოფხვრას და ქართველის მრევლების მიწერას ჩრდილო კავკასიაზე.

სად არის ხსნა? საქართველოს ეკკლესიას უნდა დაუბრუნდეს დამოუკიდებლობა და გამგე, არჩეული ქართველის სამღვდელოების და სამწყსოს წარმომადგენლების მიერ და ეს ყოვლად კანონიერი და ყოვლად სამართლიანი სურვილი და მოთხოვნა არ შეიძლება არ დაკმაყოფილდეს ახლავე, დაუგვიანებლივ.

მხოლოდ სამღვდელოებას იმედი არ უნდა ჰქონდეს, რომ ქართულს ეკკლესიას თავისუფლებას დაუბრუნებენ ზევიდგან. ვინც მონობა დაუმყარა, მას მხოლოდ შეუძლიან შესცვალოს ფორმა მონობისა და თავისუფლებას-კი არას დროს არ მიანიჭებს. ეს თავისუფლება უნდა თვითონ მან მოიხვეჭოს, თვითონ მან უნდა აღადგინოს უკანონოდ და უნამუსოდ გაუქმებული ავტოკეფალია, რასაკვირველია, სამწყსოს დახმარებით. *)

ვარიანელი

დაზარალებულ გურულთა სასარგებლოდ

ბ-ნო რედაქტორო! ყოველი ქართველი მოვალეა გამოეხმაუროს თქვენს მოწოდებას, რომლითაც იწვევთ საზოგადოებას დახმარება აღმოუჩინოს დაზარალებულ გურულებს. ვასრულებ უბრალო მოქალაქის მოვალეობას და გაახლებთ 50 მ. გურულთა სასარგებლოდ.

თავ. ნიკოლოზ რევაზის ძე **ერისთავი**.

ბ-ნო რედაქტორო! ამასთანავე გაახლებთ ათ მანეთს დაზარალებულ გურულ გლეხთა სასარგებლოდ. **ექვთიმე თაყაიშვილი**.

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ეს მცირე შემოწირულება, ხუთი მანეთი, ჩემგან მიიღოთ და გადასცეთ უსამართლოდ აკლებულ გურულთა სასარგებლოთ.

ვ. **მოლაშხია**.

ბ-ნო რედაქტორო! ჯერ-ჯერობით გადმოგცემთ ათ მან. იმ თავგანწირულ და მედგარ მებრძოლ მოძმე გურულების სასარგებლოდ, რომელთაც პირველი ნაბიჯი გადასდგეს თავისუფლებისათვის ბრძოლაში. ვაშა და გამარჯვება მათ სიმხნესა და სიმამაცეს!..

პროვიზორი **კირილე ჯაჭვაძე**.

ამათ გარდა ფული შემოსწირეს: ეგნატე იოსელიანმა — 5 მან. მღვ. რაჟდენ ზაქრეიშვილმა 2 მან.

სულ დღევანდლამდე შემოვიდა — 107 მანეთი.

კიდევ 22 ოქტომბრის სისხლის ღვრის შესახებ

საყურადღებოა ნალაპარაკევი ბ-ნთ ი. გ. ჩუბინიშვილისა, მ მარდანოვისა და სააკოვისა. ეს სამი კაცი მდგარა იმ ადგილის მახლობლად, სადაც ხულიგანებმა პირველად ასტეხეს სროლა. ბ-ნმა ჩუბინიშვილმა განაცხადა და სხვათაც შეამოწმეს შემდეგი.

ჩვენ სამნი ვიდექით მუხრანსკისეულ სახლის კუთხესთან გიმნაზიის ეზოს ჭიშკრის პირდაპირ. პატრიოტული პარტია ჯერ კიდევ სახაზინო თეატრთან იყო, რომ გვესმოდა „დოლოი შაპკების“ ძახილი. მანიფესტანტები ისე თავხედად იქცეოდნენ, რომ ხალხი ქუჩებიდან გარბოდა. ბევრმა სთქვა, წავიდეთ, თორემ ესენი ხეირს არ დაგვაყრიანო. ფანჯრებიც კი ჩაჭკეტეს. მალე კიდეც მოგვიახლოვდნენ და შორიდან შოგვძახეს, ქუდები მოიხადეთო. ჩვენ ქუდები მოვიხადეთ. მანიფესტანტებიდან გამონაწილდა ერთი ჯგუფი და მიადგა გიმნაზიის ეზოს კარებს, სადაც 20-მდე გიმნაზიელი იდგა, მიაძახეს, ქუდები მოიხადეთო, მაგრამ იმათ არ მოიხადეს. მიცვივდნენ გიმნაზიელებს და შეუბრალებლად ცემა დაუწყეს. გიმნაზიელები ეზოში შეცვივდნენ და იქიდან ქვების სროლა დაიწყეს. იგრიალა ყაზახებისა და სალდათების თოფებმა. მოვკარი თვალი, რომ მანიფესტანტებიდან ბევრნი დაეცნენ. ჩვენ „პურ-ღვინოსაკენ“ გავიქეცით. ეზოში რომ შევედით, მარცხნივ პატარა კიბეზედ ავედით და იქ ერთს ფარდულს შევაფარეთ თავი. საშინელი სროლა ასტყდა. ჩვენთან მოვიდა კიდევ რამდენიმე კაცი და სულ ათამდე შევაფარეთ თავი. თოფის სროლის შემდეგ ყაზახები ეზოში შემოვიდნენ და იქაც დაიწყეს სროლა. ენით გამოუთქმელი იყო ჩვენი მდგომარეობა. ყოველს წამში მოველოდით განკითხვის დღეს. გავარდა თოფი და დაეცა ეზოში ერთი კაცი, გავარდა მეორე და მოხვდა ჩვენთან ტილოს საფარს ამოფარებულ კაცს და იქვე ჩაიკეცა. ერთმა ჩვენთაგანმა, ტომით სომეხმა, ჯიბიდან პასპორტი ამოიღო და სთქვა, გავალ, ვეტყვი, თქვენი ვარ მეთქი, ეგები არ მომკლანო. როგორც-კი საფარიდან თავი გაჰყო, ტყვია მოხვდა და ისიც იქვე გათავდა. ცოტა ხანს ეზოში თოფის სროლა შესწყდა, ჩვენ ფანჯარა გამოვამტვრიეთ და შევცვივდით იქვე მკერვალ ებრაელის სადგომში. ებრაელს აფიცრის ტანისამოსი ჰქონდა. გამოწყობილიყო ამ ტანისამოსში, ხელში ხატი დაეჭირა და უშიშრად დამდგარიყო, აფიცერი ვგონებიო. ამ დროს ერთი ყაზახი გაჩნდა და თოფი მოგვიმიზნა. ჩვენ ყველამ „ურას“ ღრიალს მოვყევით. ყაზახი კეთილი გულისა გამოდგა, ჩვენ გვერდით რომ ორი მოკლული ნახა, თავი გაიქნია, ფარდა დაუშვა და წავიდა. გული მოვიბრუნეთ და იმედიც მოგვეცა, რომ აღარ დაგვხოცავდნენ. ცოტა ხნის შემდეგ ვიღაც აფიცერი მოვიდა და გამოგვიყვანა ყველანი. მე ორს სალდათს გადამცეს და კომენდანტის სამმართველოში გამგზავნეს. როცა სამხედრო მუზეუმს მივუახლოვდი, აქ შტაბის უფროსი გენერალი გრიაზნოვი შემხვდა. გულზე ხელი მიიდო და მითხრა: დიდად გმადლობთ, დიდად გმადლობთო, მე არავითარი ცნობა არა მაქვს იმასთან და დღემდე გაკვირვებულსა ვარ, რათ მითხრა ეს სიტყვები. საკომენდანტო სამმართველოს წინ საშინელი სცენა ვნახე, აქეთ-იქიდან მკვდრებს მოათრევდნენ. დაჭრილებს ჰპატრონობდნენ ექიმები. ერთი წილი პატრიოტებისა სასახლის წინ იდგა და „ურას“ გაიძახოდა, ხოლო მეორე ნაწილი დაძრწოდა და თუ ვისმეს გარეშეს დაინახავდა, ღრიალებდა: სიკვდილი, სიკვდილი მაგათაო. „პურ-ღვინოდან“ გამოსვლისას შემომესმა საშინელი კივილი ქალისა და კაცისა. ისინი ყოფილან, როგორც შემდეგ გავიგე, ახალგაზრდა ცოლ-ქმარნი ვახნაძენი. არსაიდან ერთი ტყვიაც არ გავარდნილა.

ახალი ამბავი

◆ **საზიზღარი ცილის წამება.** გუშინ საკუთარმა კორესპონდენტმა უკვე გვაცნობა დეპეშით, რომ ძირულაში ორი სამხედრო მატარებელი ერთმანეთს დაეჯახა. ამის გამო რაზმმა საზიზღარი საქმე ჩაიდინა: მიესია სრულიად უდანაშაულო სოფელს, აიკლო იგი, მოჰკლა ორი და დასჭრა რამდენიმე. სოფელს და სოფლელებს არავითარი დანაშაულობა არ მიუძღოდათ. მეისრეს აურევია საქმე, ხოლო მეისრედ თავიანთივე სალდათი ყოფილა, რადგან ამ დროს სადგური გაფიცული იყო. ყველაზე საზიზღარი ის არის, რომ იმ რაზმის უფროსმა, რომელსაც სროლა აუტეხია, ტფილისში თავის უფროსებს აცნობა, მდინარის ნაპირიდან სროლა დაგვიწყესო. როგორც ეხლა გვატყობინებენ, აფიცრის ეს ცნობა სრული სიცრუე და თავ-აშვებული ცილისწამებაა. არავის არსაიდან არაფერი არ უსროლია. ერთხელ კიდევ მიჰმართეს ბიუროკრატიულ ხრიკს.

◆ **აფიცერთა აზრი 22 ოქტომბრის ულეტა-ხოცვის შესახებ.** ამ დღეებში თათბირი ჰქონდათ ტფილისის პოლკის აფიცრობას 22 ოქტომბრის სისხლის ღვრის შესახებ. მოთათბირენი ორ დასად გაიყვნენ. ერთნი ამტკიცებდნენ, რომ ბრალი ამ საქმეში ხალხს უნდა დაედოს, რადგან რევოლვერები და ქვები დაგვიშინესო. მეორენი ამტკიცებდნენ, რომ ეს საშინელი სისხლის ღვრა სამწუხარო საიდუმლოებით არის მოცული. პირველად შეტაკება გიმნაზიელებსა და პატრიოტულ პარტიის წევრებს შორის მოხდა. ეს შეტაკება საშიშს არას წარმოადგენდა და ადვილად შეიძლებოდა მისი ჩაქრობა. საჭიროა ჩვენის მხრით გამოვიძიოთ ეს საქმე და საზოგადოების წინაშე თავი ვიმართლოთო. ბოლოს კრებამ აარჩია კომისია, რომ გამოჰკითხოს საქმის ვითარება მნახველთ, შეკრიბოს მასალა და დასაბუთებული მოხსენება წარუდგინოს აფიცრობას.

◆ **საიდუმლო სტამბები.** როგორც მკითხველებს ეცოდინებათ, სხვა და სხვა ორგანიზაციებს საიდუმლო სტამბები ჰქონდათ. ბევრი სტამბა შეიპყრო ადმინისტრაციამ. კავკასიის უმაღლეს მთავრობას აზრადა აქვს დაუბრუნოს პატრონებს სტამბები.

◆ **დაზარალებულ გურულთა დახმარება.** საბჭოს ხმოსნად ნამყოფმა ბ-ნმა ე. ხრამელაშვილმა გუშინ განცხადება მისცა ქალაქის გამგეობას. ბ-ნი ხრამელაშვილი წინადადებას აძლევს საბჭოს, განიხილოს საკითხი ყაზახების მიერ გადამწვარ გურულთათვის შემწეობის აღმოჩენის შესახებ. წინადადებას აძლევს აგრეთვე, ქუთაისის გუბერნატორს ბ ნ სტაროსელსკის ადრესი მიერთვას მცხოვრებთაგან. ბ-ნმა სვეშნიკოვმაც შეიტანა წინადადება დაზარალებულ გურულთა დახმარების შესახებ.

◆ **სტაროსელსკის მიგებება.** დასავლეთ საქართველოში რკინის გზის ყველა მოხელე შეუდგა თავის თანამდებობის ასრულებას. დიდის ამბით მიეგება ხალხი ტფილისიდან ჩასულ სტაროსელსკის საგანგებო მატარებელს.

◆ **ტელეგრაფი მუშაობს.** სატელეგრაფო მავთულები ყველგან შეაკეთეს და 4 ნოემბერს, დილით, ბათუმმა ხმა ამოიღო. ბათუმამდის შეკეთებულია როგორც ტელეგრაფი, ისე ლიანდაგი. ეხლა წესიერი მიმოსვლა სწარმოებს.

◆ **მოთხოვნილება სრულ ამნისტიის შესახებ.** ტფ. საბჭოს ხმოსანმა ბ-ნ სვეშნიკოვმა განცხადება შეიტანა, საბჭო მიემხროს კავშირთა კავშირის მოთხოვნილებას სრული ამნისტიის შესახებაო.

◆ **მოხელეთა მოქმედება.** გუშინ ვწერდით, რომ ზოგიერთ ბობოლამ აუკრძალა თავის ხელ-ქვეითებს მოხელეთა მიტინგზე დასწრებაო. სხვათა შორის ბრძანება გამოსცა სახაზინო პალატის გამგემაც. ამ ბრძანებაში პირდაპირ არ არის ნათქვამი, რომ მოხელეები მიტინგს ნუ დაესწრებიანო, მაგრამ ის აზრი აშკარად არის გატარებული, რომ არ მესიამოვნება თუ ჩემი მორჩილნი წავლენ მიტინგზეო. მოხელეებმა ეს განკარგულება წაიკითხეს, მაგრამ 1 ნოემბერს მიტინგს მაინც დაესწრნენ. გუშინ, 4 ნოემბერს, შეიკრიბნენ პალატის მოსამსახურენი და სთხოვეს თავიანთ უფროსს, ნება მიეცა, აერჩიათ მომავალ მიტინგისათვის ორი დელეგატი. უფროსმა მიხაილოვმა უთხრა, ჯერ გადასწყვიტეთ რამდენი კაცი თხოულობთ მაგასაო. დაიწყეს კენჭის ყრა. გადაწყდა შენობა დათმობილ იქმნას 65 ხმით 13-ის წინააღმდეგ. ამის შემდეგ უფროსმა მიხაილოვმა სთქვა, ჯერ უნდა გავიგო ამ შენობაში რაზე უნდა ილაპარაკოთ და ამისათვის დღესვე შეიმუშავეთ პროგრამაო. მოხელენი სამსახურის გათავების შემდეგ შეიკრიბნენ პროგრამის შესამუშავებლად.

◆ **მასწავლებელთა კავშირი.** გუშინ, 4 ნოემბერს, ტფ. მასწავლებელთა მიტინგმა ერთხმად გადასწყვიტა დღეიდან ოფიციალურად გამოცხადებულ იქმნას „ტფილისის ყველა სასწავლებელთა მასწავლებლების კავშირი“-ს არსებობა. კრებამ ერთხმათვე გადასწყვიტა, რომ ამიერიდან კავშირმა ყოველ გვარი ღონისძიება მიიღოს კავშირის წევრთა და დელეგატების პიროვნების ხელუხლებლობის უზრუნველ საყოფელად. ამავე მიტინგზე გადასწყდა, რომ სწავლა პირველ დაწყებით სასწავლებლებში და აგრეთვე საქალაქო სასწავლებლების მოსამზადებელ კლასებში დაიწყოს ახლავე, თუ მოსწავლეთა მიტინგი გარანტიას მისცემს თავის ამხანაგებს, რომ ხელს არ შეუშლიან სწავლის დროს.

◆ **საქველმოქმედო წარმოდგენა.** ამ ცოტა ხანში ქართულ დრამატიულ საზოგადოების ინიციატივით სახაზინო თეატრში გაიმართება წარმოდგენა დაზარალებულ გურულთა სასარგებლოდ.

◆ **სადგომი მიტინგისთვის.** ხმოსანმა ქრელაშვილმა წინადადება შეიტანა საბჭოში, გადასდოს ხუთასი თუმანი და ნაძალადევში მოაწყოს სადგომი მიტინგისთვის.

◆ **ადრესი სტუდენტებს.** ოდესის მოქალაქეთ, როგორც „ვოზრ.“ გვატყობინებს, ადრესი გადაუციათ კავკასიის სტუდენტთათვის. ადრესში მოქალაქენი მადლობას უცხადებენ სტუდენტებს თავ-გამოდებულ ბრძოლისათვის ხულიგანებისა და ყაზახების მიერ ოდესის აკლების დროს.

◆ **მიტინგი.** კვირას, 6 ნოემბრისთვის, დიდუბეში დანიშნულია შეერთებული მიტინგი ფედერატიულ პარტიებისა პოლონეთისა და სხვა საკითხების განსახილველად. მიტინგი დაიწყება 11 საათზე.

◆ **თავდაცემა.** სად. სახხერე. 2 ნოემბერს, ღამის 9 საათზე, შვიდი შეიარაღებული კაცი დაეცა სადგურის კასას და წაიღო 195 მან. 57 კაპ., სახელმწიფო რევოლვერი და მიიმალა.

◆ **ჟანდარმების გაუქმება.** სხვა რეფორმებთან ერთად უქმდება ჟანდარმთა საგუბერნიო გამგეობები.

◆ **მოსწავლეთა მიტინგი.** დღეს, 5 ნოემბერს, მეორე გიმნაზიის სადგომში დანიშნულია მიტინგი ტფილისის ყველა სასწავლებლის მოწაფეთა, როგორც საშუალოს, ისე პირველ დაწყებითის, იმ საკითხის გამოსარკვევად, შესაძლებელია თუ არა დღევანდელ პირობებში სწავლის დაწყება.

◆ დღეს, 5 ნოემბერს, 11 საათზე, საკომერციო სასწავლებელში მოხდება ამ სასწავლებლის მოსწავლეთა კრება.

◆ 3 ოქტომბერს, ღამის 12 საათზე, ავჭალის ქუჩაზე ქურდ-ბაცაცებმა გასტეხეს ზ. ახმეტელაშვილის ალაფის დუქანი. წაიღეს 150 მ. ნაღდი ფული და 100 მანეთის საქონელი. დუქნის პატრონის ძმას, ალ. ახმეტელაშვილს თავის დროს შეეტყო, და დუქნისაკენ გაქანებულიყო ქურდების დასაჭერად. ორს თავისთვის უშველნია და ერთიც-კი დაიჭირეს.

ტფ. ექიმთა შორის

3 ნოემბერს სადამოზედ შეიკრიბა კავკასიის საექიმო საზოგადოების ახალ შენობაში ორასზედ მეტი ექიმი, მეაფთიაქე და ფარმაცევტი. დაიწყო კრება 7½ საათზედ ექიმ ფიშერის თავმჯდომარეობით.

წაკითხულ იქმნა წინადადება ექიმი ხატისოვისა, რომელიც შემდეგი შინაარსისაა: „რუსეთის ეხლანდელი მდგომარეობა თხოულობს ყველა პროგრესიულ ელემენტების შეერთებას. ეს შეერთება მოგვცემს მოქალაქობრივ თავისუფლებას. 17 ოქტომბრის მანიფესტმა მოგვანიჭა სრული თავისუფლება კავშირებისა და კრებების, ექიმები მთელის რუსეთის კიდეც შეერთდნენ, რომ მოიპოვონ პოლიტიკური თავისუფლება. ტფილისის ექიმები-კი აქამდის არ შეუერთდნენ ამ კავშირს. ჩვენს კავკასიის საექიმო საზოგა-

---

*) ვბეჭდავთ პატივცემულ ავტორის წერილს და თან უნდა შევნიშნოთ, რომ საქართველოს ეკკლესიის საქმეც, როგორც ხალხის ცხოვრების სხვა მხარეთა მოწყობა-მოწესრიგება, ხალხის მიერვე არჩეულმა დამფუძნებელმა კრებამ უნდა იკისროს. რედ.

ფელეტონი

საფრანგეთის დიდი რევოლიუცია *)

მეფის გაქცევა და დატყვევება

უკანასკნელი მეფე საფრანგეთისა ლუი XVI თავის თავად სუსტი, უხასიათო და უნიჭო პიროვნება იყო, მაგრამ რევოლიუციისა და რესპუბლიკის პარტიის ისტორიაში მას დიდი ადგილი უკავია და ეს ადვილად გასაგებიც არის: ლუი მეთექვსმეტე მეფე იყო, საფრანგეთის ხალხი ისე შეჩვეული იყო მეფობას, მას ისე შესისხლხორცებული ჰქონდა მეფის ერთგულება, რომ უმისოდ თავის თავი ვერ წარმოედგინა და როცა რევოლიუცია მოახდინა და ახალი წესწყობილება შემოიღო, სათავეში ისევ მეფე დასვა. ცხადია, რომ ლუი XVI-ეს ამა თუ იმ პოლიტიკას უთუოდ დიდი მნიშვნელობა ექნებოდა ახალ წესწყობილების განმტკიცებასა თუ შეფერხებაში. მირაბო, რობესპიერი და სხვა მოღვაწენი რევოლიუციისა შეუდარებლად მაღლა იდგნენ ისეთ პატარა კაცუნაზე, როგორიც ლუი ბურბონი იყო, მაგრამ „იმათ ფსიხოლოგიის ცოდნა ისე აუცილებელი არ არის რევოლიუციის საზოგადო ხასიათის გასაგებად, როგორც ლუი მეთექვსმეტეს ხასიათის გაცნობა“.

ლუი მეთექვსმეტე ისე სულელი არ იყო, როგორც ბევრს ეგონა, მაგრამ არც მახვილი გონება ჰქონდა და, რაც უმთავრესია, მოკლებული იყო ხასიათს, ნების ძალას: ადვილად ემორჩილებოდა სხვის გავლენას, მაგრამ არც ერთი გავლენა არ ყოფილა ხანგრძლივი. მეფე მუდამ რყევაში იყო და ვერ მოახერხა ვერც ძველ მეფედ დარჩენა და ვერც ახალ წესწყობილებასთან შერიგება-შეთვისება. ერთი მთლიანი გეგმა მოქმედებისა ვერ შეადგინა; ცბიერობდა, სტყუოდა და... ნადირობდა, რომ მოკლე დროით მაინც თავი დაეხწია თავის მომაბეზრებელ სახელმწიფო საქმეებისათვის.

მიუხედავათ ყველა ამისა ლუი მეთექვსმეტეს ერთი ძლიერი და მტკიცე გრძნობა ჰქონდა, გრძნობა სარწმუნოებრივი: ღრმად მორწმუნე კათოლიკე იყო და წრფელის გრძნობითა და მოწიწებით ასრულებდა სარწმუნოების ყოველ წესს. და რევოლიუციამ აქაც არ მოუსვენა საფრანგეთის მეფეს: როგორც ვიცით, სასულიერო წოდება, მრავალრიცხოვანი და უამრავ უპირატესობით აღჭურვილი, აუტანელ ტვირთად აწვა საფრანგეთის ხალხს და, რასაკვირველია, რევოლიუციით წელში გამართულმა ხალხმა მოინდომა ამ ტვირთის მოშორება. 1790 წელს, 12 ივლისს ხალხის წარმომადგენლების დადგენილებით სასულიერო წოდება სამოქალაქო მოხელეობად იქცა და საერო მთავრობას დაუმორჩილდა — რომის პაპს წაერთვა უფლება საფრანგეთის სარწმუნოების საქმეში ჩარევისა. ასეთის ცვლილებით მეტად უკმაყოფილო იყო პაპიცა და მთელი მაღალი სამღვდელოებაც და მოახსენეს მეფეს, საუკუნოდ წაიწყმედ სულს, თუ ასეთ საშინელ ცვლილებას დააკანონებო. მეფე იძულებული იყო დაემტკიცებია, მაგრამ თავის რწმენისა და სინიდისის წინააღმდეგ: იგი მართლა დარწმუნებული იყო, რომ სულის წასაწყმედი საქმე ჩაიდინა და გადასწყვიტა საბოლოოდ ყოველივე კავშირი გაეწყვიტა რევოლიუციასთან და აღედგინა შეურაცხყოფილი მეფობა და შელახული სარწმუნოება. პირდაპირი მოქმედება, აშკარა შებრძოლება ვერ გაბედა ლუი XVI-მ და ცბიერობის გზას დაადგა. შესდგა მთელი შეთქმულება: მეფე და მისი ოჯახი უნდა გაპარულიყო პარიზიდან, მეფის ცოლისძმას ავსტრიის იმპერატორს სამხედრო დემონსტრაცია უნდა მოეხდინა საფრანგეთის საზღვარზე მამულის შვილების შესაშინებლად და ამ დროს ლუი XVI-ე მეფისთვის თავდადებულ გენერლის ბულიეს ჯარით პარიზში უნდა დაბრუნებულიყო, ხალხის წარმომადგენლები დაეტუსაღებია თუ გაერეკა აქეთ-იქით და ისევ ძველი წესწყობილება აღედგინა. რომ უფრო მოეტყუილებინა საფრანგეთის ხალხი და თავისი გაპარვა უზრუნველ ეყო, მეფე დიდის ცბიერებითა და ხერხით მოიქცა: ბრძანება გაუგზავნა საფრანგეთის ელჩებს შეეტყობინებიათ ევროპის ხელმწიფეებისათვის, რომ საფრანგეთის მეფე ბედნიერია თავის ხალხის ბედნიერებით, რომ მან სიამოვნებით შეჰფიცა ერთგულება ხალხის წარმომადგენლების მიერ შემუშავებულ კონსტიტუციას, რომ ცილის მწამებელია, ვინც წინააღმდეგს ამბობს და ავრცელებს ხმას, ვითომც მეფე ტყვე იყოს თავის ხალხისა; მეფის შეურყეველი გადაწყვეტილებაა მთელის თავის შეძლებით ემსახუროს კონსტიტუციას და დაიცვას იგი.

საერო კრებამ რომ ეს ამბავი შეიტყო, მის აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა და მაშინვე საგანგებო დეპუტაცია გაუგზავნეს უღრმეს მადლობის გამოსაცხადებლად. „დიდათ ვმადლობ ხალხის წარმომადგენლებს ამ სამართლიან ქცევისათვის; ჩემი გულის ნადების წაკითხვა რომ შეეძლოს საერო კრებას, საბოლოოდ დარწმუნდებოდა, რომ იქ მხოლოდ ერის სრულ ნდობის ღირსი გრძნობები არისო“, უთხრა მეფემ დეპუტაციას.

მოტყუილდნენ ხალხის წარმომადგენლები და ლუი XVI-ემაც მოახერხა გაპარვა, მაგრამ თვით ხალხი ფხიზლობდა: გზაზე (ვარენში) იცნეს გაპარული მეფე, დააპატიმრეს და 25 ივნისს პარიზში დააბრუნეს დედოფლითა და შვილებით.

პირველად რომ მეფის გაქცევის ამბავი შეიტყო ხალხმა, ჯერ შეშინდა და შემდეგ-კი მრისხანებამ და გულისწყრომამ მოიცვა. მოსალოდნელი იყო უცხოელებისა და მეფის მომხრე თავად-აზნაურობის შემოსევა და სწორედ ამან გამოიწვია პირველი შიში, მაგრამ მალე ისევ სიმტკიცე და მხნეობა გამოიჩინეს: ყველა მზად იყო სისხლი დაეღვარა მოპოვებულ თავისუფლებისა და სამშობლოს დასაცველად. მეფე რომ დაატყვევეს და პარიზში მოიყვანეს, ხალხი მაშინვე დამშვიდდა: მართალია, გულის წყრომა არ დამცხრალა, ლუი XVI-ე დამნაშავე იყო ერისა და კანონის წინაშე, მაგრამ საფრანგეთი ჯერ კიდევ ვერ შეჩვეოდა იმ აზრს, რომ უმეფოდ შეუძლია არსებობა, და მეფის გაქცევის ბრალს მხოლოდ მის მრჩეველებსა და ახლობლებს სდებდა.

მიუხედავად ამისა მეფის გაქცევამ მეტად ღრმა კვალი დასტოვა ერის გრძნობა-გონებაში და მოამზადა ნიადაგი რესპუბლიკის დაარსებისათვის. და ეგრეც უნდა ყოფილიყო:

1791 ივნისიდან ამავ წლის 14 სექტემბრამდე, როცა ლუი XVI-ეს ისევ დაუბრუნეს ტახტი, ე. ი. თითქმის სამი თვის განმავლობაში საფრანგეთი ფაქტიურად რესპუბლიკა იყო — არჩეული წარმომადგენლები განაგებდნენ სახელმწიფო საქმეებს: მეფის დაუკითხავად, რომელიც ამ ხნის განმავლობაში თავის ბედის გადაწყვეტას ელოდა ფრთხილ დარაჯებით გარშემორტყმული; და როცა 1792 წლის აგვისტოში ლუი XVI-ე ისევ შეუძლებელი გახდა ახალ საფრანგეთისთვის, მეფობას საბოლო-

---

*) დასაწყისი ამ წერილებისა იბეჭდებოდა ამ წლის თებერვალსა და მარტში (სულ დაიბეჭდა შვიდი წერილი) სათაურით „საფრანგეთის ისტორიიდან“. ცენზურისა და სხვა მიზეზებისა გამო წერილების ბეჭდვა შეჩერდა. ეხლა ისევ ვიწყებთ ბეჭდვას. რედ.

დობას ვთხოვ დავაარსოთ კავშირი ჩვენს ექიმებს შორის ჯერ-ჯერობით ტფილისში, შემდეგ მთელს კავკასიაშიაც. მიზანი ამ „კავშირის“ დაარსებისა უნდა იყოს ბრძოლა მოქალაქობრივ თავისუფლების მოპოვებისათვის“.

ამ წინადადებას ავტორმა დაუმატა: მუდამ დღე გვესმის ბოიკოტი, გაფიცვა და სხვა. დღეს ჩვენ ამ საქმეში, ესე იგი ხალხის მოძრაობაში არა ვჩანვართ. ჩვენ ვიქცევით ისე, რა ბრძანებაც გამოდის სხვა პირებისაგან. გვიბძანებენ, სახლიდან ნუ გამოხვალთო, აფთიაქებს ნუ გაადებთო, რეცეპტებს ნუ დასწერთო და სხვა. ჩვენ იძულებულნი ვართ, ყველა ეს ბძანება შევასრულოთ. ეს არ უნდა იყოს. ჩვენ ჩვენი განკარგულებით უნდა ვიქცეოდეთ და არა სხვისა“.

ექიმმა ფედოროვმა დაუმატა, რომ საექიმო კავშირს ექნება მნიშვნელობა მხოლოდ მაშინ, როცა ამ კავშირს მიეცემა, გარდა სპეციალურისა, პოლიტიკური ხასიათიც. ამ წინადადებას მრავალნი შემოურთდნენ და კრებამ ერთ ხმად დაადგინა დაარსდეს ჯერ-ჯერობით ტფილისში „კავშირი“ ექიმებისა, რისთვისაც არჩეულ იქმნა კომისია. ამ კომისიაში ერთ-ხმად აარჩიეს ექიმები ხატისოვი. სობოლევსკი, დიასამიძე, ბარსუკოვი, სტეფანოვი და ვესელოვზოროვი. კომისიამ უნდა შეიმუშავოს პროექტი და აღსრულებაში მოიყვანოს ეს წინადადება.

ტფილისის ქალაქის საქმეები

3 ნოემბერი.

ამ საღამოს დიდძალი ხალხი დაესწრო საბჭოს სხდომას.

თავმჯდომარემ თავ. ჩერქეზიშვილმა წინადადება მისცა საბჭოს, აერჩია წარმომადგენელი მოსკოვში ერობათა კრებაზე გასაგზავნად. უკვე წავიდა თავ. ა. მ. არგუთინსკი-დოლგორუკოვი. კრებამ დაადგინა მეორე წარმომადგენელი აღარ გაჰგზავნოს.

შემდეგ საბჭო შეუდგა ხმ. ხუდადოვის მოხსენების განხილვას. იგი შეეხება ხმოსანთა არჩევას. პირველად სიტყვა მოითხოვა ხმ. ნ. ა. ხუდადოვმა და დაწვრილებით განმარტა თვისი განცხადება. იგი თხოულობს არჩევნები მოხდეს საყოველთაო, პირდაპირ, ფარულ და თანასწორ კენჭის ყრით. განხორციელება ასეთის დადგენილებისა უნდა მოხდეს ამ რიგად, სთქვა ხმოსანმა. როცა პროექტს შევიმუშავებთ, გადავდგებით სამსახურიდან და მცხოვრებთ დაუთმობთ, რომ მათ ჩვენთან ერთად განახორციელონ გადაწყვეტილება. ამ საკითხის კეთილად დაბოლოვებას დავეხმაროთ გაფიცვით. ხმოსანმა თავ. თუმანოვმა უპასუხა ხუდადოვს, რომ ჩვენის გაფიცვით უხერხულ მდგომარეობაში ჩავაგდებთ ქალაქსაო. ხმ. ა. ბ. ევანგულოვიც არ დაეთანხმა ხუდადოვის წინადადებას. დიდს ხანს ილაპარაკა თავ. მიქელაძემ. ხმოსანმა სთქვა, განცხადება ხუდადოვის ძალიან კარგია, მაგრამ იგი მხოლოდ სიტყვებია და პრაქტიკულად მისი განხორციელება შეუძლებელია. როგორ შეიძლება რომელიმე დაწესებულებამ იარსებოს, თუ სარჩულად კანონი არ ექნება? ჩვენ უნდა დაუცადოთ, როგორ გადასწყვეტს ამ საქმეს დამფუძნებელი კრება. ხმ ი. მ. დოლუხანოვმა სთქვა, ქალაქს შეუძლიან განახორციელოს ეს უფლება. ქალაქის ყველა ნაწილები აირჩევენ წარმომადგენლებს და ჩვენთან ერთად შეუდგებიან საქმის კეთებასო. ხმ. ბაბოვმა სთქვა, მოვიწვიოთ კავკასიის ყველა ქალაქის წარმომადგენელნი და ერთად შევიმუშაოთ საქალაქო დებულების პროექტიო.

აქამდე სხდომაზე დამსწრე სხვა და სხვა ორგანიზაციის წარმომადგენელნი გულდასმით ყურს უგდებდნენ კამათს და რაკი გამოირკვა, რომ ყველა ხმოსანი წინააღმდეგი იყო ეხლავე ახალ საბჭოს შედგენისა - საყოველთაო, პირდაპირ, ფარულ და თანასწორ კენჭის ყრით, სიტყვები მოითხოვეს. ხმოსანთა წინააღმდეგ ილაპარაკა 12 ორატორმა. ეს სხდომა განკითხვის დღე იყო ჩვენის ქალაქის „მამებისათვის“. ბურჟუაზიულ-ბიუროკრატიული მოსაზრებანი ხმოსნებისა სულ ერთიან გაანიავეს ორატორებმა. უნდა გენახათ ზოგიერთ ხმოსნების თავის კანტური ხუდადოვისადმი. ეს შენი საქმეა, ეს შენ გვიქენი და ასეთს მდგომარეობაში ჩაგვაყენეო. საერთოდ ორატორებმა გამოსთქვეს შემდეგი მოსაზრებანი: ჩვენ კარგად ვიცოდით, რომ ხმოსან ხუდადოვის განცხადება ასეთს პასუხს გამოიწვევდა ხმოსნებისაგან, რადგან ისინი წარმომადგენელნი არიან ბურჟუაზიულ კლასისა. მაშინ, როდესაც არ იყო მოპოვებული დღევანდელი თავისუფლება, ბურჟუაზიული კლასიც ჩვენთან ერთად თითქოს მოქმედებდა და თანაუგრძნობდა მაინც მშრომელ ხალხის ბრძოლას. ეხლა გამოცხადდა მანიფესტი, თავისუფლება მოვიპოვეთ და, რა თქმა უნდა, ბურჟუაზიას მეტი არა უნდოდა რა. ბურჟუაზია დღევანდლამდე აქეთაც იყო და იქითაც. მთავრობასაც ებღაუჭებოდა და მშრომელ ხალხსაც ელაქუცებოდა. ეხლა აშკარად ეტყობა ბურჟუაზიას მადა თვით გახელმწიფებისა. სწორედ ახლა იწყება თავი დასასრულისა და თუ ხმოსნები ჩვენთან ერთად არ იქნებიან, უკეთესი იქნება ჩამოგვეცალნენ. ნუ სწუხდებიან, ქალაქი ცუდს მდგომარეობაში არ ჩავარდება და სხვა.

ერთი ორატორი შეეხო 29 აგვისტოს ჟლეტა-ხოცვას და სთქვა, ხმოსნებსაც მიუძღვის ბრალიო. წამოვარდნენ ხმოსნები ხუდადოვი, სვეშნიკოვი, შახ-ბუდაგოვი და სხვები და ხელების ქნევით ყვიროდნენ, ეგ ცილის წამებაა, ხმოსნებს არავითარი ბრალი არ მიუძღვითო.

12 საათი შესრულდა. ორატორებს ჯერ არ გაეთავებინათ ლაპარაკი. ჩაწერილი იყო კიდევ რამდენიმე კაცი. სხდომა შესწყდა და საკითხი გადაუწყვეტელი დარჩა.

რას ჰფიქრობენ პეტერბურგში ჩვენს სამღვდელოებაზე?

ნამდვილ წყაროებიდან შევიტყვეთ, რომ პეტერბურგში წარსულ ოქტომბრის 23-ს, ცნობილის მღვდლის გრ. პეტროვის თხოვნით, მამა იოსებ ჩიჯავაძეს „32 მღვდლის კავშირის“ სხდომაზე ვრცელი დასაბუთებული მოხსენება წაუკითხავს ჩვენის სამღვდელოების თანამედროვე მოძრაობის შესახებ. ამ მოხსენებაში მ. ჩიჯავაძეს დაუხატავს საქართველოს ეკლესიის მდგომარეობა რუსეთთან შეერთებამდე და შეერთების შემდეგ დღევანდლამდე; მოკლეთ და ნათლად დაუსურათებია რუსის ექსარხოსების „მოღვაწეობა“ ჩვენს კურთხეულ ქვეყანაში, საეკლესიო მამულების ჩამორთმევა (1852 წ.), ადგილობრივ მღვდელმთავრების უფლებათა შეზღუდვა, სასულიერო სასწავლებლებისა და სემინარიების გაუკუღმართება, მათი რექტორ-ზედამხედველების საზიზღარი პოლიტიკა, ვოსტორგოვის მიერ შექმნილი საეკლესიო სკოლები და მათი მდგომარეობა, 31 მაისისის ინციდენტი, რომელშიაც ყველაზედ მეტი „ღვაწლი“ ცნობილ არქიმანდრიტს ნიკანდრს მიუძღვის, იმ ნიკანდრს, რომელიც ამის შემდეგ სინოდმა მღვდელ-მთავრობით დააჯილდოვა.

მოხსენებას ძლიერი შთაბეჭდილება მოუხდენია დამსწრე სამღვდელოებაზე, რომელსაც ერთხმად დაუდგენია: ქართველ სამღვდელოებას გამოეცხადოს სრული თანაგრძნობა და სოლიდარობა, ხოლო სინოდსა და მის მიერ დადგენილს ექსარხოსებს, სემინარიის ნარექტორალს ნიკანდრს, ვოსტორგოვსა და სხვებს—ზიზღი და აღშფოთებაო.

ვალსამონი.

რკინის გზის მოსამსახურეთ

გუშინ რკინის გზის მოხელეთა პატარა ჯგუფმა ჩამოატარა ფურცელი და ფულის შეკრებას შეუდგა აწიოკებულ და გადამწვარ გურულთა სასარგებლოდ. ჩემის აზრით, თავგანწირულ გურულთა სასარგებლოდ ხელის მოწერა პატარა ჯგუფმა-კი არა, ყველა ნაწილის მოსამსახურეთ უნდა გამართონ. ნუ დაივიწყებენ რკინის გზის მოხელენი, რომ ამგვარი ხელის მოწერა ძალიან ბევრჯელ გამართულა ამა თუ იმ უფროსისთვის მეჯლიშის გასამართავად და საჩუქრების მისართმევად.

ოლ. ბეჟანიშვილი

პრესსა

გაზეთ „ვოზროჟდენიე“ სწერს:

„ჩვენში, კავკასიაში, არის ერთი ტრეპოვისებური თანამდებობის პირი,—კავკასიის პოლიციის გამგე გენერალი შირინკინი. როგორც ტრეპოვს პეტერბურგში ეჭირა პოლიციელისთვის შეუფერებელი თანამდებობა „თითქმის მინისტრისა“, აგრეთვე გენერალ შირინკინსა აქვს მინიჭებული კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწის უფლება...

პოლიტიკური პოლიცია და ეგრედ წოდებული გაძლიერებული დაცვა სულს ჰლაფავს. და თუ ამ წესების სატახტო ქალაქის უფროსი სამსახურიდან გადაყენებულ იქმნა, ნუ თუ ეს საკმაო ნიშანი არ არის იმისთვის, რომ ურიგო არ უნდა იყოს განაპირა ქვეყნებშიაც გაუქმდეს საპოლიციო სინეკურები“.

შემდეგ გაზეთი განაგრძობს, მომავალი ისტორიკოსი მეცნიერულად გამოიკვლევს, რაოდენად უშლიდნენ სამოქალაქო და საპოლიციო მმართველობანი ერთმანეთს კავკასიის განახლების საქმეში, მაგრამ ამას ისტორია გამოიძიებს. ხოლო ისტორიაზე ჯერი მაშინ მიდგება, როდესაც კავკასიაში პოლიციის გამგის თანამდებობა ისტორიას ჩაჰბარდება, ისე როგორც ჩაჰბარდა იმას გენერალი ტრეპოვი თავის თანამდებობბით“.

⁂

ბ-ნ ვართანიანცს გაზ. „ნოვ. ობოზრ.“ ფურცლებზე მოჰყავს ერთი ახალი და ძლიერ საინტერესო ცნობა გურიის შესახებ. ავტორი ამბობს, რომ

> გურულებმა, როგორც მშრომელმა ხალხმა და გლეხებმა (?) დიდი ხანია შეასწორეს სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა-მინიმუმი: იმათ სცნეს, რომ მთელი მიწა მშრომელ ხალხის ხელში უნდა გადავიდეს; ამასთან დემოკრატიული სახელმწიფო იღებს გადასახადს მხოლოდ „უკეთეს მიწებიდან“ (რენტა), ამ აზრს იცავს მარქსიც თავის „კაპიტალი“-ს მესამე ტომში.

ეს ცნობა, როგორც უკვე ვთქვით, ძალიან საინტერესოა და ამტკიცებს იმას, რასაც ბევრი ყრუდ ამბობდა გურულებზე, საკმარისი საბუთი კი არა იყო ამის დასამტკიცებლად. ეს კი გაუგებარია, რად მოუსურვებია ბ-ნ ვართანიანცს გურიის გლეხების მოთხოვნილების სოციალ-დემოკრატიულ პროგრამაზე მიკერება, როდესაც ყველამ კარგად იცის, რომ ამ პარტიის პროგრამმა უარ-ჰყოფს პროგრამმა-მინიმუმში მიწის ნაციონალიზაციას (სხვა სახელი არ დაერქმევა გურულების მოთხოვნილებას). უფრო ადვილი არ იყო, ავტორს ეთქვა, რომ გურულებმა სავსებით მიიღეს სოციალისტ-რევოლიუციონერთა აგრარული პროგრამმა-მინიმუმი. ყველამ კარგად იცის, რომ ეს პარტია იმავ თავითვე ამ გზას ადგას თავის პროგრამმა-მინიმუმში. რაც შეეხება იმას, რომ თვით მარქსი აღიარებს ამის საჭიროებას „კაპიტალის“ მე-III ტომში, განა ცოტაჯერ თქმულა, რომ სოციალ-დემოკრატიას მარქსის მოძღვრების ზოგიერთა ნაწილი სწორედ არ ესმისო? ცოტა საყვედური და ლანძღვა მიუღიათ ამისთვის სოციალისტ-რევოლიუციონერთა წარმომადგენლებს?

კრონშტადტის ამბები

(მთავრობის ცნობა)

კრონშტადტში არეულობა 26 ოქტომბერს დაიწყო საღამოს ასე ექვს საათზე: კრონშტადტის გარნიზონის ხმელეთის ჯარის 40 უბრალო ჯარის კაცმა ზოგიერთი მოთხოვნები წარუდგინეს თავიანთ კამანდირს; სწორედ ასეთივე მოთხოვნები წარედგინათ ორის დღის წინად რამდენიმე ეკიპაჟის მატროსებს თავიანთ მთავარ კამანდირისთვის. ჯარის კაცებისთვის ნაწილის კამანდირს უთქვამს, რომ იგი მათ თხოვნას კამენდანტს წარუდგენს. ამ კამანდამ აცნობა მატროსებს, რომ მან მთავრობას მათთან შეთანხმებით შემუშავებული მოთხოვნები წარუდგინა. როცა ეს კამანდა დაბრუნდა ყაზარმებში, კომენდანტმა დაატუსაღა 40 კაცი საჩივრის უკანონოდ მიცემისათვის. დატუსაღებულები ჩასხეს მატარებელში და ქვევითა ჯარის კაცების თანხლებით ერთ-ერთ ფორტში გაჰგზავნეს. ხელად გაიგეს მატროსებმა ამ 40 კაცის დატუსაღება. შეიკრიბნენ სხვა და სხვა ეკიპაჟის მატროსები რკინის გზის ლიანდაგზე, წინ დაჰხვდნენ მატარებელს და იერიში მიიტანეს ქვებით და ხელ-ჩართული ომიც გამართეს მატარებლის მცველებთან, რათა დაჭერილები გაენთავისუფლებინათ. მხლებელმა ჯარის კაცებმა სიმამაცე იხმარეს, რამდენიმე სროლით მოიგერიეს თავდამსხმელნი და მიიყვანეს მატროსები დანიშნულ ადგილს. აჯანყებული მატროსები უკან გამობრუნდნენ, მიცვივდნენ მატროსების ყაზარმებს და ამხანაგებს დაუძახეს დახმარებისათვის. საღამოს ასე 7 საათი იქნებოდა, რომ რამდენიმე ათასი მატროსი და ხმელეთის ჯარის კაცები უკვე თოფებით შეიარაღებული დაეცნენ გარნიზონის ნაწილს. მაგრამ თავდასხმა მოგერებულ იქმნა. იმავე დროს მეორე ბრბო სროლით მიესია სახლებსა და ბინებს და დაწიოკება დაუწყო. მთელს ღამეს არ შეწყვეტილა ძარცვა-გლეჯა და სროლა ქუჩებში, ესროლეს აგრეთვე თავისიანებსაც, რადგანაც, ღვინის დუქნების დანგრევის შემდეგ, თითქმის ყველანი დაითვრნენ. ხმელეთის ჯარების სულ მცირედმა ნაწილმა და ფლოტის იმ რაზმებმა, რომელთაც შინაური წესრიგის დაცვა ებარათ, იხსნეს დანგრევისაგან ყველა უმეტესად საჭირო დაწესებულებები და საწყობები, მაგრამ ღამის სიბნელემ დაუმალათ ქუჩებში შფოთი და ძარცვა შეეწყვიტათ. 27 ოქტომბერს გათენებისას ჟლეტა-ხოცვამ იკლო. დილით ქალაქი მოიარეს ხმელეთისა და საზღვაო კამანდებმა, თავ-თავიანთ ადგილებში წაიყვანეს ქალაქის ქუჩებში მოხეტიალე მატროსები და მრავალი მეამბოხე დაატუსაღეს. ამის შემდეგ ყველაფერი დაწყნარდა. 27 ოქტომბერს შუადღიდან ჩაქრა შეიარაღებული აჯანყება. ორანიენბაუმიდან მოვიდა 4 ბატალიონი საარმიო ქვეითა ჯარებისა და თან ტყვიის მტყორცნელებიც მოიტანეს. 28 ოქტომბერს დილით პეტერბურგიდან მოვიდა კიდევ 4 ბატალიონი გვარდიის ქვეითებისა ზარბაზნებით. 28 ოქტომბრის დილიდან კრონშტადტში სამხედრო წესები გამოაცხადეს. როგორც ხმელეთზე, ისე ზღვაზე უფროსობა ციხის კამენდანტს დაეკისრა. მაშინვე შეუდგნენ მეამბოხეთათვის იარაღის აყრასა და შემდეგ იმათ დაპატიმრებას, რომელთაც ამბოხება, ჟლეტა-ხოცვა და ძარცვა-გლეჯა ედებოდათ ბრალად. იმავე დროს შეუდგნენ გამოძიებას, გამოწვეულ იქნენ სამხედრო და სამოქალაქო გამომძიებელნი. არეულობის დროს დასწვეს სულ 5 სახლი, გაძარცვეს სამი საზღვაოსა და 3 ხმელეთის აფიცრების ბინა, 75 მაღაზია და საწვრილმანო, 68 თათრების სავაჭროები და ცხრა სახელმწიფო ღვინით-სავაჭრო. პირველ ნოემბრამდე დაჭერილ იქნენ ყველა, ვისაც ჰბრალდებოდა აჯანყება, ძარცვა-გლეჯა, ცეცხლის წაკიდება. სამხედრო სამინისტროს ცნობით, აჯანყების დროს იმ ჯარებში, რომელთაც თავზე დაეცნენ მეამბოხენი იარაღით ხელში, მოკლულია ერთი ჯარის კაცი, დაჭრილია ერთი აფიცერი და 7 უბრალო ჯარის კაცი, ქვებითაა დაშავებული ერთი აფიცერი; აჯანყებულებში მოჰკლეს 9 კაცი საზღვაო უწყებისა და 3 ხმელეთისა—სულ 12. ჭრილობისაგან გარდაიცვალა 43 უბრალო ჯარის კაცი საზღვაო უწყებისა და 12—ხმელეთისა, სულ 55, ამათგან 3 კაცი შემთხვევით დაშავდა არეულ სროლის დროს. ძარცვისა და ცეცხლის წაკიდების დროს მოკლულ იქმნა ერთი უნტერ-აფიცერი სატუსაღოს დარაჯებისა, ორი გლეხი და კიდევ ორი კაცი, რომელთა ვინაობა არაა გამორკვეული, სულ 5 კაცი. დაჭრილია ხმელეთის უწყებიდან ორი ჯარის კაცი, ორი ცეცხლის მქრობელ რაზმელთაგანი და 15 გლეხი—სულ 19. სულ მოკლულია 18 კაცი და ჭრილობისაგან გარდაიცვალა 8; დაჭრილია 2 აფიცერი, ერთი ამათგანი დაშავებულია, და 81 ჯარის კაცი; სულ 107. ამას გარდა გამოკვლევით აღმოჩნდა, რომ უკვლოდ დაკარგულა 34 უბრალო ჯარის კაცი. ამ ჟამად გამოძიება სწარმოებს, რომლის გათავებამდე შეუძლებელია დამნაშავეთა გასამართლება.

რუსეთი

სალდათების მიერ ყაზახების ამოხოცვა. პეტერბურგში მიუღიათ დეპეშა ადესიდან. ამ დეპეშაში აწერილია შემდეგი ამბავი: საშინელ სისხლის ღვრის დროს, როდესაც შავი რაზმის თავ-გასულობას საზღვარი არა ჰქონდა, ათიოდ შეიარაღებული სტუდენტი წასულა ებრაელთა ულარიბეს უბანში მცხოვრებთა აკლებისაგან დასაცავად. მთავრობას სტუდენტებისათვის სალდათები დაუდევნებია და უბრძანებია სტუდენტთა ჯგუფის გაფანტვა. სალდათებს თოფის სროლაზე უარი უთქვამთ, და მაშინ მთავრობას ყაზახები გაუგზავნია. სალდათები ყაზახებს თოფის სროლით დახვედრიან და დაუშავებიათ ასამდის ყაზახი.

აჯანყება კრონშტადტში. თანდათან ირკვევა ნამდვილი მიზეზები და ხასიათი კრონშტადტში მატროსთა აჯანყებისა. ზოგიერთა დეპეშებმა ისე გადმოგვცეს, ვითომ მიზეზი უბრალო რამ შემთხვევა ყოფილიყო. ნამდვილად კი მიზეზი პოლიტიკური მოძრაობა ყოფილა. ერთის კორრესპონდენტის სიტყვით, მატროსებს საქმე იმით დაუწყიათ, რომ მოუთხოვნიათ უფროსებისაგან სადგომი კრების გასამართავად. უფროსებს კრების გამართვა აუკრძალავთ, და ამას გამოუწვევია აჯანყება. მეორე ცნობით, მატროსებს ყაზარმიდან გამოსვლისათანავე უყვირიათ: „ძირს თვითმპყრობელობა, გაუმარჯოს თავისუფლებასა“-ო. აქედან აშკარადა სჩანს, რომ აჯანყება პოლიტიკურ ნიადაგზე აღმოცენებულა, თუმცა შეიძლება სხვა რამ შემთხვევამაც ხელი შეუწყო ამას. რაც შეეხება იმას, რომ აჯანყების დროს ბევრი ძარცვა, მშვიდობიან მცხოვრებთა ხოცვა და აკლება ყოფილა, ირკვევა, რომ ეს ჩაუდენიათ ხულიგანებს, რომელთაც უსარგებლნიათ არეულობით და მატროსების სახელით ყოველნაირი საზიზღრობა ჩაუდენიათ. აჯანყებას ჯერ სრულიად სხვა ხასიათი ჰქონია და მხოლოდ მერე, ხულიგანების ჩარევის შემდეგ, დაწყებულა მცხოვრებთა აკლება. აჯანყებაში, მატროსების გარდა, არტილერიის ჯარის კაცებსაც მიუღიათ მონაწილეობა.

მოსკოვი. საზოგადოების დამცველი რაზმი, რომელიც ამას წინად დაარსდა, უკვე შეუდგა თავის საქმის შესრულებას.

ქალაქის თვითმმართველობა შეუდგა სამხედრო უწყებასთან შეთანხმების წესის შემუშავებას მიტინგების გასამართავად მანეჟის დათმობის შესახებ.

გლეხთა კავშირი უკვე ლეგალურად მოქმედობს, როგორც სრულიად კანონიერი ორგანიზაცია. კავშირს ყოველ დღე მოსდის სხვა და სხვა კუთხიდან გლეხთა დადგენილება, რომელშიაც ისინი აცხადებენ სურვილს კავშირში შესვლისას. აზრადა აქვთ იანვრის დასაწყისში გლეხთა კავშირის წარმომადგენლების კრება გამართონ. მოსკოვში შესდგა ახალი პარტია კანონიე-

---

ოდ გამოეთხოვენ, რაკი გამოცდილება ჰქონდათ უკვე უმეფოდ ცხოვრებისა.

მეორე მხრივ მეფის გაქცევამ ბუნებრივად გამოიწვია რესპუბლიკელების დემონსტრაცია და რესპუბლიკურ გრძნობების გაძლიერება. მართალია, საერო კრების წევრთაგან არავის არ მოუთხოვია მეფის გადაყენება და რესპუბლიკის დაარსება, პირიქით, ყველას ეშინოდა, რომ მათთვის რესპუბლიკის მომხრეობა არ დაეწამებიათ. მაგრამ საერო კრება ამ მხრივ ვერ იყო ნამდვილი წარმომადგენელი მთელ საფრანგეთისა: პარიზსა და პროვინციებშიც შედარებით ძლიერი რესპუბლიკური მოძრაობა გამოიწვია მეფის ორპირობამ და რესპუბლიკელების პარტია დღითი დღე ძლიერდებოდა. სიცოცხლით სავსე და მმოძრავი პარიზელები სულ მოკლე ხანში შეურიგდნენ უმეფობას და მთელ პარიზში საკვირველი მშვიდობიანობა და წესიერება იყო: პარიზი გრძნობდა თავის ძალასა, მეფის გაქცევის გამო წარბი არ შეუხრია და ჩვეულებრივ ცხოვრებას განაგრძობდა.

სახალხო კლუბებმა დიდი ენერგია გამოიჩინეს და სცადეს რესპუბლიკის სასარგებლოდ გამოეყენებიათ პარიზელების სულიერი განწყობილება. ამ რესპუბლიკურ მოძრაობას სათავეში უდგა ეგრედ წოდებული კორდელიერების კლუბი. 21 ივნისს, მეფის გაქცევის დღეს, კლუბმა გააკრა მთელ ქალაქში ცნობილი აფიშა, სადაც „მტარვალ მეფეებს“ სიკვდილს უქადიდნენ. აფიშა იწყებოდა შემდეგ შინაარსის ლექსით:

„მოიგონეთ, რომ მარსის ველზე, ამ ბრწყინვალე საკურთხეველზე, ლუიმ ერთგულება შემოგვფიცა; ხალხსა და მეფის შორის ასეთი პირობა იყო: თუ ფიცს გატეხდა მეფე, ჩვენც თავისუფალი ვიყავით ფიცისაგან. თუ ფრანგებ შორის მოიპოვება ისეთი მოღალატე, რომ მეფობას იგლოვს და ბატონი სურს, მოკვდეს ის ცბიერი საშინელის სიკვდილით, არ დარჩეს მისგან არაფერი გარდა სახელისა, რომელიც უფრო საზიზღარი იქნება, ვიდრე თავისუფალ ადამიანის მიერ შეძულებულ მტარვალების სახელი“.

ამ ლექსის შემდეგ შემდეგი განცხადება იყო დაბეჭდილი: „თავისუფალი ფრანგები, წევრნი კორდელიერების კლუბისა, ატყობინებენ თანამემამულეთ, რომ რამდენიც წევრია კლუბში, იმდენი მკვლელიცაა მტარვალისა, რომ ყველას ფიცი აქვს დადებული ხანჯლით გაუპონ გული, რომელნიც კი გაბედავენ ხელი შეახონ ჩვენ საზღვრებსა და წესწყობილებას“.

ოთხის დღის განმავლობაში, ე. ი. სანამ მეფეს დაატყვევებდნენ და პარიზში მოიყვანდნენ, რესპუბლიკელების ცდა ნაყოფიერი იყო და პარიზელები თამამად გაიძახოდნენ: „მეფე აღარ გვესაჭიროება; საერო კრება და მინისტრები კმარან. რად გვინდა ისეთი აღმასრულებელი ორგანო (მეფე), რომელიც 25 მილიონს გვიჯდება, როცა შეგვიძლია ორ-სამ მილიონის მეტი არ დავხარჯოთ ამ საგანზედო“.

რესპუბლიკურ მოძრაობას მიემხრო ზოგი გაზეთებიც და კორედოლიერების კლუბი ისე წათამამდა, რომ ადრესი გაუგზავნა საერო კრებას და რესპუბლიკის დაარსება მოითხოვა. ამ ადრესში სხვათა შორის ეწერა: „...ისევ იმ მდგომარეობაში ვართ, როგორშიაც ბასტილიის აღების შემდეგ ვიყავით: თავისუფალი და უმეფო. ეხლა ის უნდა ვიკითხოთ, საჭიროა თუ არა ისევ მეფე დავიყენოთ... ადამიანის უფლებათა მეგობრების საზოგადოებას არ შეუძლია დაჰფაროს ის აზრი, რომ მეფობა, განსაკუთრებით მემკვიდრეობითი მეფობა, და თავისუფლება ვერ მოთავსდებიან ერთად. შეიძლება ამ საზოგადოებას არ მოეთხოვა მეფობის გაუქმება, რომ მეფეს ფიცი არ გაეტეხა... ეხლა-კი გთხოვთ სამშობლოს სახელით ან ეხლავე გამოაცხადეთ რესპუბლიკა, ან მოიცადეთ და ისევ ნუ დაადებთ ერთმთავრობის ბორკილს უმშვენიერეს სახელმწიფოს, სანამ ამ საგანზე თავის აზრს არ გამოსთქვამენ ყველა ოლქები და ამომრჩევლები“.

რესპუბლიკელების სიტყვიერმა თუ წერილობითმა მოქმედებამ მონარქის მომხრეებიც აამოძრავა და გაჩაღდა პოლემიკა. პოლემიკაში ჩაერია ამ დროის უდიდესი ფილოსოფოსი კონდორსე, მოწაფე და მემკვიდრე მეთვრამეტე საუკუნის ენციკლოპედისტებისა. „ჭეშმარიტების მეგობართა საკრებულო“-ში რესპუბლიკელების მანიფესტაცია გაჰმართეს 8 ივლისს (1791) და აქ წარმოსთქვა კონდორსემ შესანიშნავი აპოლოგია რესპუბლიკისა: საფრანგეთი მოულოდნელად განთავისუფლდა იმ ბორკილის ნაშთიდან, რომელსაც ფრანგები მხოლოდ თავის სულგრძელობისა და გულკეთილობის მიზეზით ატარებდნენ, და ეხლა დროა განვსაჯოთ, საჭიროა თუ არა ფრანგების თავისუფლებისათვის ისევ მეფე იყოლიონ. კონდორსე მჭერმეტყველებით, გონება-სიმახვილით ამტკიცებს რესპუბლიკის უპირატესობას.

პარიზს არ ჩამორჩენია პროვინცია. ბევრ კუთხიდან მოუვიდა საერო კრებას პეტიცია თუ ადრესი და თხოულობდნენ მეფობის გაუქმებას. „ნამდვილ რომაელებს რომ დავემზგავსებოდით, გვაკლდა სიძულვილი მეფისადმი და მისი განდევნა. პირველი უკვე შევიძინეთ, მეორეს თქვენგან მოველით“-ო, სწერდნენ მონპელიედან საერო კრებას. პროვინციის ხმებით გამხნევებული პარიზელი რესპუბლიკელები მეტის ენერგიით შეუდგნენ პროპაგანდას, მანიფესტაციების გამართვას, ადრესების წერას. კონსტიტუციონურ სამეფოს მომხრენი და საერო კრება მეტად უკმაყოფილონი იყვნენ ამ მოძრაობისა და ყოველ ღონეს ღონობდნენ მის შესაჩერებლად, და როცა 1791 წლის 17 ივლისს, შემდეგ საერო კრების დადგენილებისა, რომლის ძალით ლუი XVI-ე უდანაშაულოდ იქნა ცნობილი გაპარვაში, რესპუბლიკის მომხრეებმა დიდი მანიფესტაცია გაჰმართეს მარსის ველზე, საერო კრებამა და პარიზის მერმა სამხედრო წესი შემოიღეს პარიზში და სამშობლოს საკურთხეველი, მარსის ველზე ამართული, რესპუბლიკელების სისხლით შეიღება. რესპუბლიკა და დემოკრატია მეტად აშინებდა ახლად გამარჯვებულსა და გაბატონებულ ბურჟუაზიას და დასაწყისშივე მოუნდომა ჩაკვლა დემოკრატიულ-რესპუბლიკურ მოძრაობას. 1791 წლის 17 ივლისის დღე შესანიშნავი ისტორიული დღეა: ეს იყო პირველი აშკარა გალაშქრება ხალხის წინააღმდეგ, იგი პირველი შესანიშნავი აქტია უკვე დაწყებულ კლასთა ბრძოლისა. მარსის ველზე მომხდარ შეტაკებიდან იწყება განხეთქილება 1789 წლის მოღვაწეთა შორის: ისინი ორ პარტიად გაიყვნენ. მართალია, ერთნიცა და მეორენიც თავიანთ თავს მამულის შვილებსა და პატრიოტებს უწოდებენ, მაგრამ ორი მოწინააღმდეგე პარტიის არსებობა უკვე ფაქტია—ერთი წმინდა ბურჟუაზიულია, რომელიც მოწადინებული იყო, რომ ხალხის გამარჯვებით მარტო მას ესარგებლა და ძველ წესწყობილების ნანგრევებზე მარტო თვითონ გაბატონებულიყო, და მეორე დემოკრატიული, რომელიც ხალხის ნამდვილ უფლობის, სუვერენიტეტის დამყარებას სცდილობდა.

ვ. ლ—ძე

რების და წეს-რიგისა. ქ. კოლომნის ვაჭართა ჯგუფმა გამოაცხადა სურვილი კონსტიტუციონურ-დემოკრატიულ პარტიაში შესვლისა. რამდენსამე მაზრიდან მოვიდა ამგვარივე ამბები. ამ პროვინციის პარტიებს, როგორცა სჩანს, დიდი მნიშვნელობა ექნება მომავალში. პარტიების გარეშე მყოფ მუშათა ორგანიზაციებს მოუსურვებიათ ამ პარტიაში შესვლა. რაც უფრო დაწვრილებით ვიგებთ ქალაქებში მომხდარ უწესოების ამბავს, იმდენად უფრო ირკვევა ამ უწესოებათა მიზეზი: ბევრს შეცდომით ჰგონებია, რომ განმათავისუფლებელ მოძრაობას აზრადა აქვს კერძო საკუთრების მოსპობა. გლეხთა უმრავლესობა თანაუგრძნობს ამ მოძრაობას.

შავი რაზმის წინააღმდეგ. „ბირჟ. ვ.“ სწერს: ნევის ქარხნის მუშებმა განაცხადეს, რომ თუ შავი რაზმი გაბედავს და ძალმომრეობას იხმარს მშვიდობიან მოქალაქეთა წინააღმდეგ, მაშინ ისინი ინტელიგენციასთან და სტუდენტებთან ერთად გამოვლენ იმ ალაგას, სადაც არეულობა იქნება და ჩააქრობენ ამ უწესოებას დასაწყისშივე.

გაზეთ „კიევსკია ნოვოსტი“-ში დაბეჭდილია შემდეგი განცხადება გუბერნიის მმართველის რაფალსკისა: გუბერნიის მმართველმა მიიღო სანდო წყაროებიდან ცნობები კიევის პოლიციის უკანონო და ბოროტ მოქმედებათა შესახებ უკანასკნელ არეულობის დროს და ამიტომ სთხოვს იმათ, რომელნიც ამ მოქმედებათა მოწამენი იყვნენ, შემოიტანონ წერილობითი ან სიტყვიერი განცხადებანი.

მატროსების ამოჟლეტა. 27 ოქტომბრის ღამეს კრონშტადტში 124 მატროსი დახოცეს. დაჭრილთა რიცხვი 160-მდეა.

შეიარაღება. „ნაშა ჟიზნ“-ი გადმოგვცემს, რომ პეტერბურგის იარაღის მაღაზიებში ხალხი ბუზივით ირევა. რაც ბრაუნინის სისტემის რევოლვერები მოიპოვებოდა საწყობებში, სულ ერთიან გაიყიდა. დაიტაცეს აგრეთვე მერვინის სისტემის რევოლვერებიც. ეხლა სმიტისა, ვისონის და სხვა ძველი სისტემის რევოლვერებს ყიდულობენ, რაკი სხვა სისტემისა აღარ იშოვება. მალე მთელი საწყობები დაცალიერდება.

პეტერბურგის საპოლიტეხნიკო ინსტიტუტში გაკრულია ფოტოგრაფიული სურათი 25—28 წლის ყმაწვილ კაცისა. სახე ინტელიგენტური აქვს, თმა წაბლის ფერი და ულვაშებიანია. სურათს ქვემოდ აწერია: „პეტერბურგის ჯგუფი სოციალდემოკრატიულ მუშათა პარტიისა გვაუწყებს, რომ ივანე ვასილისძე დობროსკაკოვი, ცნობილი „ნიკოლაი“-ს სახელით, პროვოკატორია“. როგორც გავიგეთ, ეს პროვოკატორი ამას წინად აფიცრის ტანისამოსით მოსკოვში ერთ მიტინგზე იყო, სადაც რევოლიუციონერებს არწმუნებდა, რომ მთელ აფიცრობას და არმიას თქვენი მხარე უჭირავსო. პეტერბურგში ამ პროვოკატორმა გასცა მთელი ჯგუფი სოციალდემოკრატებისა: დაიჭირეს სტამბა და 90 კაცი რევოლიუციონერთა სხვა“.

ხულიგანის წერილი. „კიევსკი ოტკლიკის“ რედაქციას ქალაქის ფოშტით შემდეგი წერილი მიუღია: „გუშინდელ ნომერში თქვენ გვირჩევდით, ყოველივე ნაცარცვი დავლა მივიტანოთ პოლიციაში. გთხოვთ ურჩიოთ პოლიციას, მოიტანოს ყველა ნივთები, რომელიც იმან ჩვენთან ერთად წაიღო. პოლიციას უფრო მეტი ერგო, ვიდრე ჩვენ. მაშინ ჩვენც მივიტანთ ყველა ნივთებს, რაც-კი ჩვენა გვაქვს. ივანე შევჩენკო, ერთი ხულიგანთაგანი“.

წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

ამ უკანასკნელ დროს, ჩვენდა სამწუხაროდ, გავიგეთ, რომ განჯის პოლკზედ საზოგადოებაში გავრცელდა მეტად არა სასიამოვნო ხმები. ეს პოლკი 22 ოქტომბერს როდესაც საშინელი უბედურება დატრიალდა ქალაქში, თითქო უმაღლეს მთავრობის მოუთხოვნელად გამოსულიყოს საბრძოლველად, ყოვლად უმიზეზოდ აეტეხოს სროლა და თვით იმ გულთა-მზარავ სისხლის ღვრაში, რაღაც შეუფერებელი გმირობა და ბარბაროსობა გამოეჩინოს. ამ ხმებმა, რასაკვირველია, შეურაცხგვყო ყველა ამ პოლკის აფიცრობა და გაგვიორკეცა მწუხარება. ჩვენ ვგრძნობთ თავის მოვალეობას საზოგადოების წინაშე და არც შევგიძლია ჩავთვალოთ ჩვენი თავი რაიმე „ინსტრუქციის“ მონად. ჩვენ ეცდილობთ შეძლების დაგვარად სამსახური გავუწიოთ საზოგადოებას და ძლიერ მაღლა ვაყენებთ იმის აზრს, ამიტომ უმორჩილესად ვსთხოვთ პატივცემულ ტფილისის საზოგადოებას კარგად გაიცნოს საქმის ვითარება და ისე დაგვდვას მსჯავრი. აქ ჩვენ არ ვეხებით იმ სამწუხარო შემთხვევას—საზოგადოდ; შევეხებით მხოლოდ იმდენად, რამდენადაც საჭიროა განჯის პოლკის მონაწილეობის გამოსარკვევად.

22 ამა თვეს ეს პოლკი უმაღლეს მთავრობის განკარგულებით საჩქაროდ იყო გამოწვეული და მიეშურებოდა გოლოვინის პროსპექტისაკენ იმ დროს, როცა ეს საშინელი საქმე უკვე დაწყებული იყო. მაგრამ იმ მიზნით-კი არა, რომ თვით მას სისხლი დაეღვარა, არამედ იმიტომ, რომ ორ გადამტერებულ—რევოლიუციონურ და პატრიოტულ ჯგუფს შორის ჩამდგარიყო და სისხლის ღვრა აეშორიბინა. არა ვართ მნახველნი და არც შევვიძლიან რამე ვსთქვათ იმის შესახებ, თუ ვინ და როგორ გამოიწვია პირველად ეს უბედურება. კიდევაც ღრმად დარწმუნებულნი ვართ ბ-ნ იოსელიანის ნაამბობის სრულ ჭეშმარიტებაში, მაგრამ არც ის შევვიძლია დავფაროთ, რომ ქუჩაში მიმავალს განჯის პოლკის როტებს „ნიუ-იორკის“ სასტუმროდან ყოვლად უმიზეზოდ აუტეხეს სროლა. [1] მნახველსაც რომ არ დავუჯეროთ, ტყვიით გახვრეტილი პაგონი ერთის ჩვენის ამხანაგისა და მუნდირი სალდათისა აშკარად ამტკიცებს ამას, აი რამ ჩაითრია ორი ჩვენი ამხანაგი და მონაწილედ გახადა იმ უბედურებისა. აქ არ გვინდა თავი გავიმართლოთ და ბრალი დავსდოთ იმათ, ვინც უდანაშაულოდ გახდა მსხვერპლი ამ შავის დღისა; არც გვინდა ვსთქვათ, რომ ორი-სამი კაცის ცუდ-მოქმედებას უთუოდ ამისთანა საშინელი ბოლო უნდა მოჰყოლოდა, ვერც ის გადაგვიწყვეტია—რა ღონე უნდა ეღონა იმ როტის უფროსს, რომელსაც სროლა დაუწყეს, რომ დაეცვა როგორც თავისი თავი, ისე თავის სალდათები, თუ გინდ მთლად უყურადღებოდ დაეტოვებინა ის სასტიკი დამცველ ჯარების უფროსის „ინსტრუქცია“, რომელიც ვალდებულად ხდიდა მას, სროლაზედ სროლითვე მიეცა პასუხი?! სიტყვით ხომ ვერას გახდებოდა?! საქმით... სამწუხაროდ, მეტი ველარა მოახერხეს-რა და ტყვიით მიმართა იმ სახლებს, რომლიდანაც ტყვიები მოცვიოდა, მაგრამ ესროლა მხოლოდ კედელს და მხოლოდ იმიტომ, რომ იქ ატეხილი სროლა ჩაეჩუმებინა. არც ერთ სახლის წინა ოთახებში, არამც თუ მკვდარი, ერთი დაჭრილიც არ აღმოჩენილა. ეხლა რაც შეეხება იმ უბედურებას, რომელიც დატრიალდა ამ სახლების უკანა ოთხებში, სასტუმროების ეზოებსა და თვით გიმნაზიაში, ამაში განჯის პოლკი პასუხი ვერ აგებს, რადგან არავითარი მონაწილეობა არ მიუღია. მაგრამ ბოლოს გამოვიდა ის, რომ ყველა ჰუმანიურად მოქცეულა, მხოლოდ ერთ განჯის პოლკს გამოუჩენია რაღაც მხეცური ვაჟკაცობა და ამით მოუხვეჭია საპატიო სახელი „შავი ეშმაკები“-სა. ეს ყველა უთუოდ იმიტომ, რომ მას ხვედრად ჰხვდა იმავე დღეს ამ საშინელ ქარიშხალის ნანგრევებზედ დაბინავება და სხვის მიერ დანთხეულ სისხლში ხელების გასვრა. განჯის პოლკებს გული გაუსქდათ, როდესაც „ტფილისის საკრებულოს“ ეზოში მათს თვალის წინ გადაიშალა საზარელი სურათი. ისინი ღრმად შეწუხებულნი არიან, რომ უსაშველო მდგომარეობამ მონაწილეთ გაჰხადა ამ უბედურებისა, მაგრამ ხელ-მეორედ თამამად არწმუნებენ პატივცემულ საზოგადოებას, რომ მათ არც იმ საშინელ ხოცვა-ჟლეტაში, არც ძარცვა-გლეჯაში და არც გიმნაზიაში სროლაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

განჯის პოლკის კაპიტანი **დ. ართმელაძე** [2]

30 ოქტომბერი, 1905 წ.

ბ-ნო რედაქტორო!

2 ნოემბერს მე და ჩემი ამხანაგი არტარი-კოლუმბო მივდიოდით მიხეილის ქუჩაზე და როდესაც ვარანცოვის ძეგლთან მივედით, ვნახეთ, რომ ერთს ყმაწვილ ქალს ხალხი შემოჰხვეოდა. ეს ქალი, წითელი ლენტით ხელში, უგზო-უკვლოთ დადიოდა. შემდეგ, როგორც გამოვარკვიეთ, ამ ქალს ჭკუაზე შეშლის ნიშნები ეტყობოდა. ვცდილობდით, რომ რამე საშველი აღმოგვეჩინა, ბევრსაცა ვსთხოვეთ დახმარება, მაგრამ ყური არავინ გვათხოვა. გავეშურეთ მიხეილის სამკურნალოში და ბ-ნ გურკოს ვსთხოვეთ, რომ როგორმე ეშველა იმ საცოდავისათვის. ბ-ნმა გურკომ თანხმობა განაცხადა მიღებაზე. ჩვენც, რასაკვირველია, გავეშურეთ იმ ქალისაკენ და გავიგეთ, რომ იმ საცოდავს, სანამ მივიდოდით, მთელი ახლო-მახლო ქუჩები შემოევლო და ისევ იქ მისულიყო. როგორც იქნა ჩავსვით ეტლში და მივიყვანეთ სამკურნალოში, მაგრამ ვინაობა ვერ გავიგეთ, რადგან არეულად ლაპარაკობს. ამიტომ ვაუწყებ მკითხველთ ქალის ნიშნებს და ვთხოვთ, თუ ნაცნობი გამოდგეს, გააგებინოს ვინაობა „ვოზროჟდენიეს“ რედაქციაში არტარი-კოლუმბოს. იმ ქალის ნიშნები: თხელ ტანიანია, პატარა სახე აქვს, თმა მოკლე და წაბლის ფერი, 15—16 წლის იქნება, მაჩვენებელ თითზე გაჭრილის ნიშანა ეტყობა, ხშირად ახსენებს გვარს „რაგოვსკის“.

როგორც ამბობენ, ამ ქალის ჭკუაზე შეშლის მიზეზი შემდეგი ყოფილა: ამ ქალს თურმე ერთი გიმნაზიელი ჰყვარებია, რომელიც 22 ოქტომბერს გოლოვინის პროსპექტზე მოუკლავთ, და იმის შემდეგ ქალი ჭკუაზე შეშლილა.

ა. ს. ლანდი.

დეპეშა

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

პეტერბურგი, 3 ნოემბერი. „სლოვო“ იუწყება, სახელმწიფო სათათბიროს წევრების არჩევა დეკემბრის პირველ მესამედში მოხდებაო.

„ნოვოიე ვრემია“-ს ცნობით, პეტერბურგის უნივერსიტეტში ყრილობა ექნებათ უკრაინელ სტუდენტებს, რომელთაც უკრაინისათვის საჭიროდ სცნეს ავტონომია ფედერატიულ პრინციპით.

„ს-პეტერბურგის ვედომოსტ“-ებს გაუგიათ, სამხედრო მინისტრმა გადასდო საკითხი პოლკებში უმაღლეს ადგილებზე მოსამსახურეების დანიშვნაში საარჩევნო წეს-რიგის შეტანის შესახებ.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

2 ნოემბერი

პეტერბურგი, 2 ნოემბერი. („ოფიციალური“). რადგან მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის სახელზედ აუარებელი შუამდგომლობა და განცხადება მოდის, რომელიც უმეტესად კერძო უწყებებს ეხება, ამიტომ გრ ვიტტე აცხადებს, რომ უმაღლესის ბრძანებით მას დაევალა მინისტრთა მოქმედებას ერთი ხასიათი მისცეს. ამასთან ყოველი მინისტრი თავის სამინისტროს შესახებ საქმეებში დამოუკიდებელი უნდა იყოს. ხელმწიფემ კეთილ ინება და ახალი პირები აარჩია ყველა მინისტრის მოადგილედ, ამიტომ ყოველისავე კერძო უწყების შესახებ შუამდგომლობა-განცხადებით უნდა მიჰმართონ მინისტრებს.

კიევი, 2 ნოემბერი. თავადასხმა—დაწიოკების გამოსაკვლევათა და მოხელე პირთა მონაწილეობის მიღების ასახსნელად გამოიგზავნა მოსკოვის სასამართლო პალატის უფროსი თავმჯდომარე არნოლდი.

კიევ-პოლტავის გზის სადგურ გრებენკასთან გადასცდა ლიანდაგს სამხედრო მატარებელი.

სარატოვი, 2 ნოემბერი. ხვალისთვის მოელიან გენერალ-ადიუტანტ სახაროვს. ქალაქში არსდება კონსტიტუციონურ-დემოკრატიულ და უფლებრივ წესის პარტიები.

რომი, 2 ნოემბერი, ამორჩეულ იქმნა კომიტეტი ქალაქის დასაცველ ორგანიზაციის მოსაწყობად.

პეტერბურგი, 2 ნოემბერი. ტამბოვის გუბერნიაში წესიერების აღსადგენად გაიგზავნა გენერალ-ადიუტანტი სტრუკოვი. გაიფიცა პეტერბურგის ქარხნების ჩომეტებული ნაწილი და მათ შორის გემთ-ამშენებელი და პუტილოვისა. გაფიცვა ვარშავისა და ბალტიის გზებზედაც დაიწყო. პეტერბურგში გაფიცულთა რიცხვი 32,000 (ოცდა თორმეტი ათასს) აღემატება. იფიცებიან მესტამბეებიც, ხვალ გაზეთები არ გამოვა. ქალაქში სიწყნარეა. სალითონო და სამეტალურგიო სამრეწველოების წარმომადგენელთა თათბირზე უარი გამოსთქვეს რვა საათის მუშაობის შემოღებაზე და დაურიგეს მუშებს მოწოდება, რომ იმათაც უარი სთქვან ამის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში მრეწველნი ქარხნების დახურვას ფიქრობენ.

მოსკოვმა დღეს ზოგიერთ საერობოებს გაუგზავნა 550,000 მანეთი შემწეობის აღმოსაჩენად.

ყაზანი, 2 ნოემბერი. კერძო სტამბების ასოთ-ამწყობთა გაფიცვა არ გათავებულა, რადგან პატრონებთან ვერ შეთანხმდნენ. თექვსმეტი დღეა გაზეთები არ გამოსულა, რედაქტორებმა და ასოთამწყობებმა გადასწყვიტეს გამოსცენ დეპეშები.

3 ნოემბერი

კრონშტადტი, 2 ნოემბერი. მოვიდა ჯავშნოსნები „სლავა“ და „ალექსანდრე II“ და კრეისერები „კორნილოვი“ და „პამიატ აზოვა“.

მინსკი, 2 ნოემბერი. მუშები აარსებენ თავის დაცვის რაზმს ებრაელების დაწიოკების მოლოდინში.

ვარშავა, 2 ნოემბერი. რკინის გზის მოსამსახურეებმა მიტინგზე გარდასწყვიტეს, შეაჩერონ გაფიცვები მხარის სასარგებლოთ. გრაფი ვლადისლავ ტიშკევიჩი, სტანისლავ ლიბიცკი და ედუარდ იასცენი პოლონეთიდან გადაასახლეს.

პლოცკი. ტყუილი გამოდგა დაწიოკების შესახებ გავრცელებული ხმები. სრული სიწყნარეა. სასწავლებლებში სწავლა პატრულების მცველობის ქვეშ სწარმოებს. გაზეთი „კხო“ ცენზორის ნებართვით გამოვიდა.

ლიბავა, 2 ნოემბერი. გუშინ პოლიციის მეპასპორტე კლუგემ, სასტუმროში დათრობის შემდეგ, ფულების რიგება იწყო და უწოდებდა ხალხს, სცემეთ ებრაელებსო. უცბათ გაჩნდნენ ვიღაც უცნობი პირები, ტომარა ჩამოაცვეს თავზე კლუგეს და ეტლით წაიყვანეს ბეკერის სამავთულო ფაბრიკისაკენ, სადაც იგი გაასამართლეს და სიკვდილით დასჯა გარაუწყვიტეს, რის შემდეგ მოჰკლეს კიდეც ორის ტყვიით. გამოძიება სწარმოებს.

პეტერბურგი. უმაღლესად იქნენ დათხოვნილი სათადარიგო ჯარის კაცებად 1891, 1892 წ.წ. უბრალო ჯარის-კაცები ევროპის რუსეთის ჯარის კაცებისა, ამას გარდა მუშაობაა დაწყებული 1893, 1894, 1895 და 1896 წწ. გაწვეულ სათადარიგო ჯარის კაცების დათხოვნის შესახებ. ციმბირის სამხედრო ოლქში დაითხოვენ 1887, 1888, 1889 და 1890 წწ. გადების ჯარის კაცებს.

ვარშავა. ბანკირებმა და ვაჭრებმა დაადგინეს გახსნან ყველა ბანკები და სავაჭროები.

ეკატერინბურგი. გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელი სტრიჟევსკი აცხადებს, უოველივე მანიფესტაცია ჯარის საშუალებით იქნება ჩაქრობილიო.

მორშანსკი. მაზრაში აგრარული არეულობაა.

ორენბურგი. არსენალის მუშები შეუდგნენ მუშაობას.

პეტერბურგი, 3 ნოემბერი. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გრაფ ვიტტემ გაფიცულ ქარხნების ფაბრიკებისა და სტამბების მუშებს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: „ძმებო—მუშებო, ხელი მიჰყავით საქმეს, თავი დაანებეთ შფოთს, გებრალებოდეთ ცოლ-შვილი, ყური მოარიდეთ მავნე რჩევას. ხელმწიფემ გვიბრძანა, რომ მუშათა საკითხს მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება და ამისთვის მისმა უდიდებულესობამ დააარსა სავაჭრო-სამრეწველო სამინისტრო, რომელმაც უნდა დააწესოს კანონიერი დამოკიდებულება მუშათა და საქმის მოთავეთა შორის. გვადროვეთ და ყოველივე შესაძლებელი თქვენ სასარგებლოდ მოწყობილი იქნება. გაუგონეთ თქვენს კეთილის მყოფს და თქვენ მომხრე კაცებს. გრაფი ვიტტე“.

ვიტტემ მიიღო ადესის უნივერსიტეტის დეპუტაცია, პროფესორები ლანგე, ვერიგო და შრეკინი. ვერიგოს სიტყვით, ვიტტემ აღუთქვა, სასენატორო რევიზიის დანიშვნა. გაიგზავნება გუზმანსკი ან მეშჩანინოვი.

ბერლინი, 3 ნოემბერი. საზღვარ-გარეთის გაზეთები ამტკიცებენ, რომ ვიტტეს პოზიცია პოლონეთის ავტონომიის შესახებ აიხსნება გერმანიის გავლენით, რადგან გერმანიის მთავრობა ემზადება ჯარების შეყვანას რუსეთის პოლონეთში. როგორც სარწმუნო წყაროებიდან სჩანს—ეს ხმები გამოგონილია.

კურსკი, 3 ნოემბერი. კურსკის გუბერნატორი აცხადებს, რომ არავითარ კრებების გამართვა არ შეიძლება იმ დრომდე, ვიდრ სრული მშვიდობიანობა არ ჩამოვარდებაო.

ქრისტიანია, 3 ნოემბერი. ფიქრობენ, რომ სტორტინგი პარსკევს ან შაბათს გაჰგზავნის დეპუტაციას დანიის პრინც კარლთან კოპენჰაგენში სამხედრო გემით. პარასკევს მთავრობა შეიტანს სტორტინგში წინადადებას მეფის ამორჩევის შესახებ. გაზეთების სიტყვით, ახალი მეფე ჩაითვლება კარლ მეხუთედ.

სუჯა, 3 ნოემბერი. 813 სახლის პატრონმა, გლეხებმა, წარუდგინეს საერობო გამგეობას სახელმწიფო სათათბიროში ამორჩეულთათვის გადასაცემად სოფლის განაჩენი რეზოლიუციებითურთ გლეხთა სხვა წოდებებთან გათანასწორების, შემოსავლის დაგვარად გადასახადების გაწერის, საერობო უფროსთა და ვოლოსტის მოსამართლეთა გაუქმების, გამოსავლიდ გადასახადის შეცვლის, გლეხთა მფლობელობის გაფართოებისა და საეკლესიო საკრებულოს ამორჩევის შესახებ.

მოსკოვი, 3 ნოემბერი. გენერალ-გუბერნატორმა გამოაცხადა, რომ ყაზახებს არ გაიყვანენ მოსკოვიდან იმ დრომდე, ვიდრე მშვიდობიანობა არ ჩამოვარდებაო.

უფიმი, 3 ნოემბერი აგრარული მოძრაობა თან და თან იზდება.

მოსკოვი, 3 ნოემბერი. რკინის გზის მოსამსახურეებმა მიიღეს პეტერბურგიდან წინადადება გაფიცვის შესახებ. უმეტესობა იმ აზრისაა, რომ არ გაიფიცონ, რაკი პოლონეთი სამხედრო დროის წესებშია.

სტარი სოკოლკი, 3 ნოემბერი. სამი მებატონის სახლ-კარ-ბინადრობა აიკლეს, საქონელს ყელები დასჭრეს, ცხენები გაიტაცეს და შენობები გადასწვეს.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

1 ნოემბერი.

რიგა, 3 ნოემბერი. პეტერბურგიდან არ მოდის მატარებლები. ფაბრიკის მუშებში მოძრაობა იწყება. ხელ-ახლა დაიწყო გაფიცვები დაარსდა პოლიტიკური პარტია, რომელსაც „კონსტიტუციონური“ ჰქვია.

სარატოვი, 3 ნოემბერი. გაიფიცა ჩირინის ქარხანა.—გაზეთები გატენილია აგრარულ მოძრაობის ამბებით. ერთ მამულში ბრბომ ცეცხლში დასწვა მმართველი.

კურსკი, 3 ნოემბერი. ხოვოროსკოლის მაზრიდან იუწყებიან, რომ იქ აგრარული მოძრაობა დაიწყო. გაძარცულია და გადამწვარი მსხვილმიწის მფლობელთა და მექარხნეების კარ-მიდამოები. გაძარცვის ცენტრია ჩუდნიანკა.

ასხაბადი, 2 ნოემბერი. მატარებლების მიმოსვლა დაიწყო. მოსამსახურეებს სიტყვა მისცა რკინის გზების სამმართველომ, რომ მათ გაფიცვის ფულები მიეცემათ.

კრემენჩუგი. არსდება პოლიტიკური კლუბი პროგრესიულ ელემენტებისა, პროფესიონალურ კავშირებისა და და პოლიტიკურ პარტიების შესაერთებლად.

მოსკოვი, 3 ნოემბერი. გარდაიცვალა გამოჩენილი პროფესორი ფიზიოლოგი სეჩენოვი

პეტერბურგი. 2 ნოემბრიდან ხელ-ახლა დაიწყო გაფიცვები. რკინის გზის მატარებლებმა შესწყვიტეს მოძრაობა დღის 12 საათიდან. ვარშავის რკინის გზით ის მატარებელიც ვერ გაჰგზავნეს, რომელიც დღის 12 საათზე უნდა გასულიყო. ორივე ვოგზალი ბნელით არის მოცული. ჯარი მორიგეობს. ქუჩებში პატრულები დადიან. ზოგიერთ კერძო და სახელმწიფო ქარხნებისა და ფაბრიკების მუშებმა გაანებეს თავი მუშაობას. სადამოს გაზეთები არ გამოსულა. გამოვიდა მხოლოდ „პრავიტ. ვესტ.“-ი და „ვედომოსტი გრადონაჩალსტვა“.

კიევი, 1 ნოემბერი. აგრარული მოძრაობა ჩერნიგოვისა და გოროდნისკი მაზრებში „კიევლიანინი“-ს სიტყვით, 23 ოქტომბერს დაიწყო. გლეხების შეიარაღებული ბრბოები თავს ესხმოდნენ მდიდარ მემამულეებს, სროლით აიძულებდნენ გამგეთ გამოსულიყვნენ და შემდეგ იწყებდნენ ქონების ძარცვასა და პარვას, შენობებს ცეცხლს უკიდებდნენ. გაძარცვეს მდიდარი ეკონომია ინგლისის ქვეშევრდომის მორტონისა და დასწვეს მისი სახლი, რომელიც 200 ათას მანეთად ღირს. გაძარცვეს და დასწვეს 12 სხვა ეკონომია. ძარცვავდნენ რამდენიმე ბრბოები ცალ-ცალკე 500—600 კაცი. მშვიდობიან მცხოვრებლები გონს მოვიდნენ და წინააღმდეგობა გაუწიეს მძარცველთ, რომელთაგან არიან მოკლულ-დაჭრილები.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. გ. ჯაბადარი.**

განცხადებანი

✦ კბილებს ✦

ვიღებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვსვამ ახალ ხელოვნურ კბილებს და ვაშორებ ცუდ სუნს. გ. მ. იოხვედი. მიხეილის ქ. № 108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (30—9).

ტელეფონი **პირველი საწყობი** № 1051.

შეშისა

✦ ა. ი. კურცხალიასი ✦

ანდრეევის ქუჩა, დამრეხის პირდაპირ. **საკუთარის ტყიდან** მიღებულია დიდ-ძალი შეშა ყოველგვარ ღირსებისა, რცხილისა, წიფლისა, მუხისა, რთხმელისა და სხვა. მუხის დიდი ბოძები. შეშის სახლში მიტანას ფირმა საკუთარ პოვოზკებით კისრულობს. შეშა იყიდება საჟენობითაც და ფუთობითაც. მყიდველს ნება აქვს შეშის საჟენი თავისი თვალ-წინ დაადგმევინოს, რადგანაც მყიდველები ბევრჯელ სტყუვდებიან დადებულ საჟენებიდან.

(10—3) **გამგე ნიკოლოზ პავლეს ძე კიკნაძე.**

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას **სამკურნალო**,

რომელიც იმყოფება **მათი უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ**, სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვით და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა»

კიოსკში

ლორის-მელიქოვის ქუჩ., ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ. კპ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—ზოგმა პასხასი	— 10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	— 50
ბნელი, მოთხრობა—მელანიასი	— 20
ალ. ყაზბეგის I, ტომი	1 —
II და III ტომი თითო	1 —
ილ. ჭავჭავაძის I ტომი	— 70
იგივე II და III ტომი თითო	— 60
იგივე IV ტ. ორ წიგნად	— 80
სოფლის კუნძულ, დ. მაჩხანელისა	— 10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	— 40
აკაკი წერეთლის I და II ტ. თითო	— 60
რაფ. ერისთავის I ტომი	— 60
საქართველოს წარსული დრო—ბოტტოსი	— 20
აივენგო რომანი—ვალტერ სკოტისა	— 55
სიბრძნე ბალავარისა	— 30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	— 10
დვინის დაყენება, პროფ. გ. პეტრიაშვილისა	1 50
რძე, მისივე	1 50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—ჰენრიხ სენკევიჩისა	— 80
დასტურ-ლამა	— 20
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	— 25
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	— 20
ხენთი რაფფისა, თარგმანი სომხურიდან გ. ყვანჩულოვისა	1 —

ახლად დაბეჭდილი

სამზარეულო

ფასი 1 მან. 50 კაპ.

იყიდება წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგ. კიოსკში, ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში, ქ. ტფილისში. ვისაც ათის ან მეტის ეგზემპლიარის ყიდვა ჰსურს, მიჰმართოს ქართველთა ამხ. კანტორას, ვანქის ქუჩაზე, ამხ. სტამბაში. (წლ.)

ტფილისის საკატედრო **სიონი ტაძრის** გვერდით არის საწყობი საეკლესიო ყოველ გვარ ნივთეულობათა, სადაც ყველა ნივთეულობა ისყიდება იაფად, თითქმის ქარხნათა ფასებით. იქ ისყიდება: ხატები, ჯვრები, ბაზმაყები (ხორუგვი), შანდლები, შვიდ სასანთლები, კანდელები, ფერჩეულობა და მზად შეკერილი შესამოსელნი სამღვდლო და სადიაკვნო. შეკვეთითაც შეიძლება შეიკეროს საჩქაროდ და იაფად შესამოსელი დაწყებული 14 მან. ვიდრე 150 მანეთამდის სანთლის ქარხანაშიაც შეიძლება შეკვეთა და საწყობშიაც. (0-31)

---

[1] მსროლელი ვინ იყო, არ ვიცით; ადვილად შესაძლებელია, რომ ვინმე ხულიგანთაგანი იყო.

[2] ამ ჟამად გამოძიება სწარმოებს 22 ოქტომბრის სისხლის ღვრის შესახებ და გაზეთებში იბეჭდება კერძო პირთა ნანახი და გაგონილი საქმის საბოლოოდ გამოსარკვევად. ვბეჭდავთ ამიტომ აფიცრის აზრსაც განჯის პოლკის მოქმედებაზე. რედ.